ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 23 სექტემბერი, 2022 №188 (8966) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

სტრასბურის სასამართლომ საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება გამოიტანა

ყალბი 100-ლარიანი კუპიურების დამზადება-გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

გვ.4

„მოსამართლეებისადმი გოგაშვილის მიერ წაყენებულ ბრალდებებზე მძიმე, უბრალოდ, აღარაფერია“

გვ.2

კახა ქემოკლიძე: „ადამიანები ველარ ამბობენ, რომ სუსში მუშაობენ, რცხვენიათ. ყველას ჰგონია, რომ ვილაცა ვილაცას უსმენს და ვილაცა ვილაცის საძინებელში ძვრება“



„როგორც ვაკვირდები, სოსო გოგაშვილს რაღაც სტრატეგიული გეგმა აქვს და ამ გეგმის მიხედვით ის აჟღერებს იმას, რასაც საჭიროდ მიიჩნევს. როდესაც სახელმწიფო რელევანტურად არ პასუხობს, ამ ფონზე გოგაშვილის განცხადებები კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება“

„ოთხი დეპუტატის ცალკე გასვლა „ოცნების“ ვირეშმაკობაა“

მამუკა გიორგაძე: „ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულება არც ხელისუფლებას უნდა და არც დაწინაურებულ ოპოზიციას“

გვ.3

„საქართველოში ოფიციალურად 300 ათასი რუსეთის მოქალაქეა შემოსული“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „არ შეიძლება, საქართველოში რუსული ქალაქები და კვარტლები აშენდეს, როცა ქვეყნის 20% რუსების მიერ არის ოკუპირებული“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჯო ბაიდენსა და მის მეუღლეს თბილი მიღებისა და საქართველოს მიმართ ამერიკის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდი“

გვ.2

„ქუთაისში „საქართველოს ბანკში“ შეჭრა კლასიკური ტერორისტული აქტია“

გვ.4

ვახტანგ მაისაია: „არ ვიცით, ტერორისტი ჩაბარდა თუ დააკავეს“

4 ხატია დეკანოიძე: „კულტურის მინისტრი ტყუის, როდესაც ამბობს, რომ 2640 ექსპონატია დაკარგული“

5 მურუსიძე: „სოსო გოგაშვილის შუამავლობა ვინმესთან რაში დამჭირდებოდა“

5 სოსო გოგაშვილი: „ჩემო მურუს, ახლა შენ, თუ გინდა, მუქარა დაარქვი, მე ამას მხილებას ვეძახი“

6 ახმედ ზაკაევი, რომლის ლიკვიდაციას რამზან კადიროვი ითხოვს, უკრაინაში მეხუთე ჩეჩნურ ბატალიონს აყალიბებს

1993230720223

„მოსამართლეებისადმი გოგაშვილის მიერ წაყენებულ ბრალდებებზე მძიმე, უბრალოდ, აღარაფერია“

კახა ქემოკლიძე: „ადამიანები ვეღარ ამბობენ, რომ სუსში მუშაობენ, რცხვენიათ. ყველას ჰგონია, რომ ვიღაცა ვიღაცას უსმენს და ვიღაცა ვიღაცის საძინებელში ძვრება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.

– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? რუსეთის პრეზიდენტმა ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. საკმაოდ ბევრი შეფასება მოჰყვა ამ საკითხს. სიტყვა „ნაწილობრივ“ ჩამატებულია, თორემ ეს სრულ მობილიზაციას ჰგავს. რას იტყვით თქვენ, პროცესების როგორ განვითარებას ელით?

– მე ვფიქრობ, რომ ე.წ. ნაწილობრივი მობილიზაცია, რომელიც გამოცხადდა რუსეთში, სწორედაც იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და მთლიანად გენერალურ შტაბს უკრაინის ფრონტზე ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს. ეს ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ადამიანური რესურსის ნაკლებობა შეექმნათ მთლიანად უკრაინის ფრონტზე. გამოცდილი სამხედროები და საუკეთესო ელიტური დანაყოფები ან დიდწილად განადგურებულია, ან არაქმედებაუნარიანია. შესაბამისად, რუსეთის ხელისუფლება ხვდება, თუ არ უნდათ, რომ განმეორდეს კიდევ ერთი კონტრშეტევა, სამხრეთის მიმართულებით მათ სჭირდებათ ადამიანური რესურსის მყისიერ რეჟიმში წაშველება.

– ეს მობილიზაცია რამდენად უშველის პუტინს?

– ეს ყველაფერი ბრძოლის სურათს ვერ შეცვლის, იმ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე, რომ ეს ადამიანური რესურსი, რომელიც დაემატება, არ იქნება იმ გამოცდილების მქონე, რომელიც თავის დროზე შევიდა და რომელიც უკვე განადგურდა ბრძოლის ველზე. ასევე მათ აქვთ სერიოზული გარღვევები ტექნიკურ დონეზე.

– ბატონო კახა, ჩიხშია დღეს პუტინი?

– აბსოლუტურად. ეს, მგონი, ყველაზე სწორი ტერმინია, რომელიც, დღეის მოცემულობით, მის პოლიტიკურ ვითარებას აღწერს. ის არ ელოდა მსგავსი სცენარის განვითარებას, არც უშვებდა, ასე ვიტყოდი. დღეის მოცემულობით კი უწევთ იმის გაკეთება, რაც ძალიან არაპოპულარულია რუსეთის მოსახლეობაში. ასევე, პრაქტიკულ დონეზე მათი მხრიდან წარმატების მიღწევა მინიმალურ დონეზეა დასული. დღეს ამ ომს იგებს მორალი, ამ ომს იგებს ის ტექნიკური შესაძლებლობები, რომლითაც უკრაინა აქტიურად მარაგდება დასავლელი პარტნიორების მხრიდან. ასევე იგებს ის შემართება, რომ უკრაინელები იცავენ საკუთარ მიწას.

– პუტინის გადაწყვეტილებას პროტესტი მოჰყვა რუსეთში. გუშინდელი მონაცემებით, ათასზე მეტი ადამიანი დააკავეს. გაგრძელდება გამოსვლები? ასევე ქვეყანას მასობრივად ტოვებენ რუსეთის მოქალაქეები. ეს ყველაფერი ერთად რა სურათსა და რა მოცემულობას ქმნის?

– საქართველოსა და ცივილიზებული სამყაროს გადმოსახედიდან, მე ამ საკითხის პოზიტიურ განვითარებას ვერ ვხედავ. ათას ადამიანამდე დააკავეს გუშინ რუსეთის ძალოვანმა სტრუქტურებმა. ჩემი აზრით, რუსი საზოგადოება სიღრმისეულ დონეზეა დაშინებული. მათ, უბრალოდ, ეშინიათ პროტესტის გამოხატვის, რაც ძალიან სერიოზული პოლიტიკური პრობლემაა. ამიტომ ამ კუთხით პოზიტიური სცენარი ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა ხალხს არ უნდა ამ ძმათამკვლელ ომში ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ პუტინმა აკრძალა მამაკაცებისთვის ქვეყნის დატოვება, ისინი მაინც მასობრივად ტოვებენ რუსეთს. ეს, მეორე მხრივ, მიანიშნებს იმაზე, რომ რუსული სახელმწიფო სისტემა, მმართველობითი აპარატი უზომოდ კორუმპირებულია. სწორედ ამიტომ ახერხებენ ეს ადამიანები ქვეყნის დატოვებას.

– საქართველოსთვის რამდენად სახიფათოა ეს ყველაფერი? ვგულისხმობ ამდენი რუსის უკონტროლოდ შემოდინებას.

– ეს, რა თქმა უნდა, დიდი რისკის შემცველია საქართველოსთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლება ამ რისკებს არ და ვერ აცნობიერებს, ქვეყანა შედის იმ რისკში, რომ საქართველო ვარდება ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსისა და სომხეთის კლუბში და არა იმ სრულიად ცივილიზებულ სამყაროში, რომელიც ამ ეშმაკისეულებს უპირისპირდება. საქართველო, რომელიც ასეთი მოკავშირე იყო დასავლეთის, შეერთებული შტატების, სწორედ „ქართული ოცნების“ უგუნურებით აღმოჩნდა ისეთ კლუბში, რომელში ჩარჩენისაც თვითონ რუსეთსაც კი რცხვენია.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ჩვენი ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკაა?

– აღრე იმედი მქონდა, რომ ეს არ იყო მიზანმიმართული და ეს იყო, გარკვეულწილად, ზოგიერთი პოლიტიკოსისა თუ ბატონი ივანიშვილის არასწორი პოლიტიკის შედეგი. ჩემი აზრით, ეს უკვე აღარ არის არასწორი ანალიზის შედეგი. ეს არის, გარკვეულწილად, მიზანმიმართული ანტიდასავლური კამპანია, რომელიც შეგნებულად კეთდება და ეს უკვე აღარ არის შემთხვევითი!

– პროცესების როგორ განვითარებას ელით ჩვენს ქვეყანასთან მიმართებით?

– „ქართული ოცნება“, სამწუხაროდ, დღესაც იმ აზრზეა, რომ უკრაინა, საბოლოო ჯამში, ამ ომში რუსეთის წინააღმდეგ ვერ გაიმარჯვებს. სწორედ ამაში მდგომარეობს მათი სტრატეგიული არასწორი ანალიზი. მათ ფსონი დადეს არასწორ მხარეს და იძულებულნი არიან, ეს არასწორ მხარეს დადებული ფსონი დაიცვან. ნეტა ვცდებოდე, მაგრამ, მგონია, რომ „ოცნება“ დღეს რუსებს გულშემატკივრობს. ვერ აცნობიერებენ, რომ უკრაინის ამ ომში გამარჯვება გარდაუვალია!

– ბატონო კახა, როგორც ძალოვანი უწყების ყოფილი მაღალჩინოსანი, რას იტყვით სოსო გოგაშვილის განცხადებებზე? ახლა მოსამართლეების მხილება დაიწყო. მართლაც, რამდენად თანამშრომლობდა უსაფრთხოების სამსახური მურუსიძე-ჩინჩალაძესთან და რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– სოსო გოგაშვილი უსაფრთხოების სამსახურის რიგითი თანამშრომელი კი არა, უფროსის მოადგილე, საკვანძო დეპარტამენტების კურატორი იყო. როდესაც ასეთი ტიპის განცხადებებს აკეთებს ეს ადამიანი, ჩემი აზრით, ეს არის სერიოზული პრობლემა მთლიანად სახელმწიფო აპარატისთვის. საგანგაშო ამ ყველაფერში ის არის, რომ ჩვენ ფაქტობრივად ვისმენთ ძალიან არაკომპეტენტურ, ინსტიტუციურად დანგრეულ, გამოშიგნულ პასუხებს სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირის მხრიდან. გუშინ უკვე მოვისმინეთ სასამართლო ინსტიტუციების, აი, ამ რეპუტაციაშელახული ფიგურანტების მხრიდანაც. იმის ნაცვლად, როდესაც ასეთი ბრალდება ჟღერდება, გამოძიებას იწყებდნენ პროკურატურა, შს სამინისტრო, სხვადასხვა ინსტიტუცია, რა პასუხებს ვისმენთ. ყოფილმა მოსამართლეებმა რა ბრალდებები გააჟღერეს – თურმე სადღაც საქმის გასარჩევად იბარებენ. ასეთი რამ, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ეს არის ინსტიტუციურად სახელმწიფოს ჩამოშლა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იმის მაგივრად, რომ კანონი კანონობდეს, რას ვხედავთ, ადამიანს იბარებენ კონკრეტულ უწყებებში, მოდი, ვილაპარაკოთ შენ მიერ გაჟღერებულ ბრალდებებზეო.

– ამ ყველაფერზე, წესით, გამოძიება არ უნდა დაწყებულიყო?

– აუცილებლად. ნორმალურ სახელმწიფოში მყისიერად დაიწყებოდა გამოძიება. დროებით მაინც შეუწყდებოდა უფლებამოსილება იმ თანამდებობის პირს, რომლის გვარიც გაჟღერებული იქნებოდა. ნორმალურ, ცივილიზებულ სახელმწიფოებში ასე ხდება. ყველაზე საგანგაშო და პრობლემური, რა მგონია, იცით? „ქართული ოცნება“ 2012 წელს სწორედ ამაზე საუბრობდა, რასაც ჩვენ ახლა განვიხილავთ, სააკაშვილის რეჟიმი გასულია კონსტიტუციური ჩარჩოებიდანო. დღეს კი „ოცნება“ ერთი ერთში დაემსგავსა სააკაშვილის მაშინდელ გამრუდებულ მენეჯმენტს. დღეს სახელმწიფო ერთი ერთში იმეორებს ზუსტად იმავე შეცდომებსა და დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც თავის დროზე სააკაშვილმა დაუშვა.

– ტოტალურ მოსმენებზეა საუბარი და ხელისუფლება აქეთ ედავება, მტკიცებულებები დაგვიდეთო. რა ხდებოდა იმ პერიოდში, როდესაც თქვენ მუშაობდით ამ უწყებაში და რა ხდება დღეს?

– როდესაც აცხადებენ, მტკიცებულებები დაგვიდეთო, მსგავსი განცხადებებით ეს ადამიანები ძალიან კომიკურ სიტუაციაში იგდებენ თავს. გამოძიება სწორედ რომ შესაბამისმა უწყებებმა უნდა დაიწყონ. თუ იყო ტყუილი, უნდა დაამტკიცონ, რომ ტყუილი იყო, თუ არადა, უნდა თქვან, რომ არის მართალი. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ჩვენ დროს, რა თქმა უნდა, ყველაფერი იდეალურად არ იყო. მე არასოდეს ვიტყვი იმას, რომ ყველაფერი იდეალურად იყო, მაგრამ ერთი, რაც ძალიან წელში გამართულმა შემიძლია გითხრათ, ჩვენი გუნდი ამის ხელშემწყობი არასოდეს არ ყოფილა.

– იმ პერიოდში მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანთან რამდენად აქტიურად თანამშრომლობდა თქვენი სამსახური, ან პირადად თქვენ თუ გქონიათ რაიმე კავშირები, რასაც ახლა სოსო გოგაშვილის განცხადებებიდან ვიგებთ?

– მე ერთი რამ შემიძლია გითხრათ: იმ მიმართულებებზე, სადაც უშუალოდ ვიყავი, ანალიტიკურ დეპარტამენტს წარმოვადგენდი და ოკუპირებული ტერიტორიებისა და რუსეთის მიმართულებას ვხელმძღვანელობდი. მე ამ თემასთან შეხება მქონდა ნული! შესაბამისად, კონკრეტული მაღალი თანამდებობის პირები ვისთან როგორ თანამშრომლობდნენ, ამაზე, უბრალოდ, ინფორმაციას არ ვფლობ. თუმცა, იმ ბრალდებებზე მძიმე, რომლებიც ახლა ჟღერდება მაშინდელი სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის მხრიდან, უბრალოდ, აღარაფერია. ამას გეუბნებით თუნდაც როგორც ყოფილი თანამშრომელი, რომელსაც ძალიან შესტკივა გული ამ სისტემაზე. უბრალოდ, არ ვიცი, რას დაამსგავსეს. ძალიან ვბრაზდები, როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობ. ამ სამსახურს, რომელიც 2015 წელს დაფუძნდა, უდავოდ შეეძლო, ყოფილიყო ჩემპიონი, დღეის მდგომარეობით კი სასირცხვილო და საქილიკო თემად იქცა. ადამიანები ამაყად ვეღარ ამბობენ, რომ იქ მუშაობენ, ამის რცხვენიათ. ყველას ჰგონია, რომ ვიღაცა ვიღაცას უსმენს და ვიღაცა ვიღაცის საძინებელში ძვრება.

– სერიოზული ჩრდილი მიაყენა სოსო გოგაშვილმა ამ სამსახურს. ჩნდება კითხვა: ვინმე დგას მის უკან, მიზანმიმართული პროცესია თუ რა აქვს მას ჩაფიქრებული?

– ჩემი აზრით, როგორც ვაკვირდები, სოსო გოგაშვილს რაღაც სტრატეგიული გეგმა აქვს და ამ გეგმის მიხედვით აჟღერებს იმას, რასაც საჭიროდ მიიჩნევს. როდესაც სახელმწიფო რელევანტურად არ პასუხობს, ამ ფონზე გოგაშვილის განცხადებები კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება. დღეს სახელმწიფო აბსოლუტურად ყველა მიმართულებით ინსტიტუციურ ჩიხშია შესული. უბრალოდ, ინსტიტუციები არ არსებობს, ან, თუ არსებობს, მათდამი საზოგადოების ნდობა საერთოდ დაკარგულია. ამას დიდი იმედგაცრუებით გეუბნებით. ეს მწყინს, ნამდვილად არ მიხარია.

> **„როგორც ვაკვირდები, სოსო გოგაშვილს რაღაც სტრატეგიული გეგმა აქვს და ამ გეგმის მიხედვით ის აჟღერებს იმას, რასაც საჭიროდ მიიჩნევს. როდესაც სახელმწიფო რელევანტურად არ პასუხობს, ამ ფონზე გოგაშვილის განცხადებები კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება“**

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჯო ბაიდენსა და მის მეუღლეს თბილი მიღებისა და საქართველოს მიმართ ამერიკის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდი“



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენისა და მისი მეუღლის ჯილ ბაიდენის სახელით, მსოფლიო ლიდერების პატივსაცემად გამართულ მიღებას დაესწრო.

მთავრობის მეთაური ჯო ბაიდენსა და მის მეუღლეს თბილი მიღებისა და საქართველოს მიმართ შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერისთვის სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ მადლობას უხდის.

– მქონდა პატივი, დავსწრებოდი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯო ბაიდენისა და მისი მეუღლის ჯილ ბაიდენის სახელით მსოფლიო ლიდერების პატივსაცემად გამართულ მიღებას, სადაც ლიდერები იკრიბებიან და მოსაზრებებს უცვლიან ერთმანეთს გლობალური გამოწვევების შესახებ. მადლობელი ვარ თბილი მიღებისა და საქართველოს მიმართ შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერისთვის, – აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

პარლამენტი საქართველოს სახალხო დამცველს ღია კენჭისყრით აირჩევს

დეპუტატებმა მესამე მოსმენით განიხილეს და 104 ხმით, ერთხმად მიიღეს პარლამენტის რეგლამენტის პროექტში შესატანი ცვლილება.

ცვლილების თანახმად, პარლამენტი საქართველოს სახალხო დამცველს ღია კენჭისყრით აირჩევს.

კანონპროექტის ინიციატორი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, პოლიტიკური გაერთიანება „მოქალაქეების“ წევრი ლევან იოსელიანია.

პარლამენტმა კანონპროექტი დაჩქარებული წესით განიხილა და მიიღო.

მოქმედ სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას უფლებამოსილების ვადა წლის ბოლოს ეწურება. პარლამენტმა ახალი ომბუდსმენი დეკემბერში უნდა აირჩიოს, რასაც 90 დეპუტატის ხმა სჭირდება.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – წურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოთხი დეპუტატის ცალკე გასვლა „ოცნების“ ვირეშმაკობაა“

მამუკა გიორგაძე: „ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულება არც ხელისუფლებას უნდა და არც დაწინაურებულ ოპოზიციას“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანასა და მის გარშემო მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს მამუკა გიორგაძეს.

– ადრე თქვით, რომ ახლა გადამწყვეტი პერიოდია და საქართველომ თავისი შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას. რა ხდება ახლა? რამდენად ვიყენებთ იმ შანსს, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე ძვრების გამო გაჩნდა?

– რკინიგზელების ენას გამოვიყენებ. რკინიგზელთა ენით რომ ვთქვა, მაშინ, როცა სხვა ეშელონები მიქრიან, ჩვენ დეპოში ვართ. დააკვირდით, რა სისულელეებს განვიხილავთ, რა თქვა ერთმა პოლიტიკოსმა მეორეზე, გამოეყო თუ არა „ქართულ ოცნებას“ ოთხი დეპუტატი. ამ დროს მთელი მსოფლიო მსჯელობს მოვლენათა განვითარების სხვადასხვა ასპექტზე. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის ახლანდელი მდგომარეობა. რუსეთს ეწურება ყველანაირი რესურსი – სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური.

როგორც გითხარით, დეპოში ვართ და უაზრო დღის წესრიგით ვცხოვრობთ. უფრო მეტიც, გამარჯვებულს (დასავლეთი გამარჯვებულია) ვუპირისპირდებით. ეს, გარკვეულწილად, მაგონებს 100 წლის წინანდელ მოვლენებს. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება (რომელიც ახლანდელს სჯობდა) ვერ გამოვიდა სოციალიზმის ჩარჩოებიდან, ვერ გააცნობიერა რუსეთის ნამდვილი სახე. დეპოში ყოფნა ახლანდელი ხელისუფლების ბრალიცაა და იმ ოპოზიციის ბრალიც, რომელიც წინა პლანზეა წამოწეული.

– ისინი სცოდავენ იმაშიც, რომ ევროკომისიის მიერ ჩამოწერილი 12 რეკომენდაციის შესასრულებლად მუშაობისათვის ერთად ვერ დამსხდარან?

– რასაკვირველია, ამასაც ვგულისხმობ, როცა ორივეს ბრალზე ვლაპარაკობ. ეს ოპოზიცია თავისი დღის წესრიგით ცხოვრობს. ის არ ემთხვევა საზოგადოების მისწრაფებებსა და ამოცანებს. ნაციონალურ მოძრაობასა და მის სატელიტებს ხალხი არ მიჰყვება. ამ პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ ხალხის ორგანიზება. საზოგადოებაც არ არის აქტიური. ბოლო დროს იმდენი ფაქტი მოვისმინეთ და ვნახეთ (თუნდაც, მოსმენების შესახებ), რომ, წესით, აღშფოთებული საზოგადოება რუსთაველზე უნდა დამდგარიყო.

„არც 1918, არც 1990-იან წლებში საქართველო დამოუკიდებლობისთვის მზად არ აღმოჩნდა. ახლა მაინც უნდა ვიყოთ მზად“

– საზოგადოების პასიურობას „ქართული ოცნების“ მარჯვე პროპაგანდაც ხომ არ უწყობს ხელს? რამდენი თვეა, ხალხს ჩასჩიჩინებენ, რომ გარკვეული ძალები გეგმავენ რევოლუციას, რომ ამავე ძალებს უნდათ საქართველოს ომში ჩათრევა. იქნებ ადამიანების ნაწილი დაშინდა კიდეც?

– მარჯვე პროპაგანდა, კომუნისტებს რომ ჰქონდათ, ისეთი უნდა. ეროვნულ ძალებს როგორ აღარ ებრძოდნენ! იმ დროს, როცა ეროვნული ძალების მიმართ ნდობამ მაქსიმუმს მიაღწია (80-იან წლებში), ვერანაირი კომუნისტური პროპაგანდა ვეღარ ჭრიდა. მაშინ კომუნისტების ხერხები ვერ მუშაობდა.

– „ქართული ოცნების“ ხერხები მუშაობს იმიტომ, რომ ოპოზიციას ავტორიტეტი არა აქვს?

– ცხადია. ნაციონალურ მოძრაობასა და მის სატელიტებს ხალხის ნდობა არა აქვთ. გადავხედოთ, ვინ არიან ამ პოლიტიკურ სპექტრში. ესენი არიან პირები, რომლებსაც თავისით არაფერი გაუკეთებიათ, არაფერი შეუქმნიათ. ისინი ვიღაცამ ჩაწერა საარჩევნო სიაში, მათ ვიღაცამ აშოვნინა დიდი ფული. საბოლოოდ, მათ კბენა დაუწყეს პატრონებს. მათი პატრონები იყვნენ და არიან შევარდნაძე, საკაშვილი, ივანიშვილი.

– ბოლოდროინდელ მაგალითებსაც ხომ არ დასახელებთ?

– მაგალითად შემიძლია მოვიყვანო დავით უსუფაშვილი, ასევე მისი ყოფილი რესპუბლიკური პარტია. არიან პარტიები, რომლებიც პარლამენტში ყოველთვის სხვის ხარჯზე, კოალიციურად მოდიოდნენ. „რესპუბლიკური პარტია“ ამის დადასტურებაა. უსუფაშვილის ახლანდელი პარტია „ლელოც“ ამ წრიდანაა და სასათბურე პირობებშია გამოზრდილი. ამ პარტიის ლიდერებმა ფული შევარდნაძის წყალობით იშოვეს. არსებობს სათბურში გამოზრდილების ერთი წრე, რომლის წარმომადგენლები გადადიან პარტიიდან პარტიაში, ხანდახან მიდიან არასამთავრობო სექტორში. აქედან შეიძლება ისევ პარტიაში ამოყონ თავი. ეს ყველაფერი არ ხდება ხელისუფლებების გარეშე. „ქართული ოცნების“ წევრები რომ კრიტიკას არ აკლებენ სახალხო დამცველს, დაავიწყდათ, რომ ის მათი დამტკიცებულია? სახალხო დამცველი ჰაერიდან არ ჩამოვარდნილა. ასე აწყობთ და იმიტომ იქცევიან. მაშინ ასე იყო საჭირო და ასე მოიქცნენ.

– არაერთხელ გითქვამთ, რომ საქართველოს აქტიური პოლიტიკური სპექტრი ერთი ცენტრიდან იმართება, მათი პროდასავლელობა კი თვალთმაქცობაა. ახლა რა შეიცვალა? ნაწილი ღიად ანტიდასავლელი გახდა.

– არსებითად არაფერი შეცვლილა. საქართველოს შესასრულებელი აქვს 12 პუნქტი იმისთვის, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდეს. ამ 12 რეკომენდაციის შესრულება არც ხელისუფლებას უნდა და არც ამ დაწინაურებულ ოპოზიციას. რეკომენდაციები რომ შესრულდეს, მათი მონოპოლია დამთავრდება და ნორმალური არჩევნების შედეგად მათ არავინ აირჩევს. იმისთვის, რომ თავისი გაიტანონ, საჭიროა მეტი დრაივი, მეტი დრამატიზმი და მეტი პოლარიზაცია. ჰოდა, ამას ვაკვირდებით. ამ პარტიების, ამ პოლიტიკოსების მიზანი და სლოგანია: „მე ვიყო კარგად“. დანარჩენი არ აღელვებთ. მათ შორის, სულ არ აწუხებთ საგარეო კურსი. უფრო სწორად, ისინი არ ისწრაფვიან იმისკენ, რომ საქართველო გახდეს რეალურად დამოუკიდებელი, განვითარებული და იყოს დასავლეთის ოჯახში.

– რუსეთზე დამოკიდებულება მაინც თუ შემცირდა?

– რუსეთის რესურსები, როგორც გითხარით, ილევა. ეს ჩვენთვის დიდი შანსია. მომავალს მზად უნდა შევხვდეთ, პოლიტიკურად, სამართლებრივად მომზადებული უნდა ვიყოთ, უნდა განვავითაროთ სამხედრო ინფრასტრუქტურა, ეკონომიკა, ინსტიტუტები. არც 1918, არც 1990-იან წლებში საქართველო დამოუკიდებლობისთვის მზად არ აღმოჩნდა. ახლა მაინც უნდა ვიყოთ მზად. თვალთმაქცი, საკუთარ თავზე მოფიქრალი პოლიტიკოსები პოლიტიკას უნდა ჩამოსცილდნენ. მათ ადგილზე უნდა მოვიდნენ ჯანსაღი პოლიტიკური ძალები. საზოგადოებამაც უნდა იფიქროს მათ განვითარებაზე.

– „ქართული ოცნებიდან“ გამოსული ოთხი დეპუტატის თემა ახსენეთ. საინტერესო იყო არა იმდენად მათი პარტიიდან გამოსვლა, არამედ, ღიად ანტიდასავლური რიტორიკა, რომელსაც მმართველი პარტია არ ეწინააღმდეგება.

– ეს არის „ოცნების“ ვირეშმაკობა. ესინჯება ნიადაგი ღია ანტიდასავლური პროცესების დაწყებას. არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთთან მიდის გარიგება. შეიძლება, იყოს ასეთი სახის გარიგება – მეოთხედაც რომ ვიყო ხელისუფლებაში, ამაში დამეხმარე, სამაგიეროდ, დასავლეთს დავუპირისპირდებიო. 100 წლის წინანდელი საქართველო ისევ უნდა ვახსენო. სოციალ-დემოკრატები არ უჯერებდნენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. სანამ რუსეთი არ შემოიჭრა, სხვა წარმოდგენა ჰქონდათ. სოციალ-დემოკრატები ცდებოდნენ, მაგრამ ისინი პატიოსნები მაინც იყვნენ. ახლანდელები კორუფციაში არიან ჩაფლული და ქვეყანა არ აინტერესებთ. საერთოდ, სახიფათო მდგომარეობაა. მილოშევიჩიც მახსენდება. მილოშევიჩი არ ასრულებდა დასავლეთის თხოვნებსა და რეკომენდაციებს. შედეგად, სახელმწიფო დაეშალა. თვითონ როგორ დაამთავრა, ყველამ იცის. უკვე ყირგიზეთიც კი უბედავს რუსეთს ბევრ რამეს. სხვა სახელმწიფოებზე აღარაფერს ვამბობ. დროა, საქართველოც გამოფხიზლდეს. პირველ რიგში, საზოგადოება უნდა გააქტიურდეს და უარი უთხრას პოლიტიკურ მონოპოლისტებს.

„საქართველოში ოფიციალურად 300 ათასი რუსეთის მოქალაქეა შემოსული“

ლაშა ჩხარტიშვილი: „არ შეიძლება, საქართველოში რუსული ქალაქები და კვარტლები აშენდეს, როცა ქვეყნის 20% რუსების მიერ არის ოკუპირებული“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასიათასობით ქართველი ცხოვრობს რუსეთში და, შესაძლოა, ისინი ბრუნდებოდნენო. იღებთ ხელისუფლების ამ არგუმენტს?

– არა, ეს არ არის არგუმენტი. ეს არის ტყუილი. უტიფარი ტყუილი, რომელსაც თალაკვაძე კადრულობს. მე მაქვს მომზადებული კანონპროექტი სწორედ ამ საკითხზე, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, დევს პარლამენტში და პარლამენტს არც კი განუხილავს, რადგან არ აწყობთ.

„ქართულ ოცნებას“ რუსეთის მოქალაქეების მასობრივ ემიგრაციასთან დაკავშირებით არავითარი პოლიტიკა არ გააჩნია. ეს არის რეალობა. ამიტომ თალაკვაძე, კობახიძე, მდინარაძე გამოდიან და ასეთი ფსევდოარგუმეტებით კვებავენ ხალხს, მაგრამ ხალხი ბრმა და ყრუ არ არის. ვის დაარწმუნებენ ესენი, რომ მხოლოდ ქართველები ბრუნდებიან და რუსები არაფერ შუაში არ არიან. საკუთარი ოჯახის წვერებს მოუყვნენ ეს ზღაპრები.

კობახიძე რომ გამოდის და გვეუბნება, სავიზო რეჟიმის აღდგენა, სანქციებთან მიერთება ომში ჩართვას ნიშნავსო, რა, ვინც მიუერთდა სანქციებს, ყველა ომშია ჩართული თუ რა ხდება. სავიზო რეჟიმიც აქვს ბევრ ქვეყანას, მაგრამ ომი არ გამოცხადებულა. გამოვიდნენ და აღიარონ, რომ არავითარი პოლიტიკა არ გააჩნიათ რუსეთთან და რუსეთის მოქალაქეებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოში შემოდიან. შემოსულთა რაოდენობა 300 ათასი იყო ოფიციალური მონაცემებით. ბოლო ციფრები არ მაქვს. უკვე ნახევარი მილიონიც კი იქნება.

– რას ითვალისწინებს თქვენი კანონპროექტი?

– პირველი – სავიზო რეჟიმის აღდგენას, მეორე – ბინადრობის უფლების გარეშე ყოფნის ვადას ერთი წლიდან სამ თვემდე შემცირებას. მესამე – ბინებისა და სხვა უძრავი ქონების სანაცვლოდ უვადო ბინადრობის უფლების გაყიდვის, მოღალატეობრივ-კორუფციული წესის გაუქმებას, მეოთხე – რუსეთის მოქალაქეებისთვის ფირმების რეგისტრაციის შეჩერებას ომისა და სანქციების დასრულებამდე მაინც.

ეს არ ნიშნავს სრულ და ტოტალურ ჩაკეტვას, არა, ეს არის გონივრული პოლიტიკა და საკუთარ სახელმწიფოსა და მის ინტერესებზე ზრუნვა და ფიქრი. ემიგრანტთა რაოდენობა მკაცრად უნდა იყოს ლიმიტირებული. ამ შემთხვევაში მე საქართველოს უსაფრთხოებასა და მის ინტერესებზე ვსაუბრობ. წარმოუდგენელია ასე ტოტალურად ყველას შემოშვება. ფილტრი უნდა არსებობდეს, მაგრამ, არა ისეთი, როგორიც გვესმის. მაგალითად, შემოუშვან გავრილოვი, ჩაჯდეს ქვეყნის პირველი წარმომადგენლობითი ორგანოს მთავარ სავარძელში და არ შემოუშვან პუტინის რეჟიმთან მებრძოლი ადამიანი.

– რამდენად არის არგუმენტი, რომ ეს ხალხი პუტინის რეჟიმს გამოექცა და თვითგადარჩენისთვის იბრძვიან?

– ასე ნამდვილად არ არის. ასე რომ იყოს, სულ სხვა რეალობა და მაგალითები გვექნებოდა. სომხეთი, რომელიც პუტინის რუსეთის მთავარი პარტნიორი და მოკავშირეა, ისიც კი 6 თვემდე აძლევს ბინადრობის უფლებას რუსეთის მოქალაქეებს, ჩვენ კი – ერთ წლამდე. რით უნდა ავხსნათ ეს.

საქართველო ძალიან მცირემასშტაბიანი ქვეყანაა და ვერ ვიქცევით ვერავის თავშესაფრად. თუ ღია პოლიტიკაა მოსახლეობის, ხალხის ჩანაცვლების, მაშინ ესეც გვითხრან და ყველა მიიღებს გადაწყვეტილებას. ჩემი აზრია, რომ ჩვენ ამ რეალობას არ უნდა შევეგუოთ. არ შეიძლება, საქართველოში რუსული ქალაქები და რუსული კვარტლები აშენდეს იმ ფონზე, როდესაც ქვეყნის 20% სწორედ რუსების მიერ არის ოკუპირებული. ეს სახიფათოც კია. ამაზე უნდა დაფიქრდეს ხელისუფლება. იმაზე კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, რომ ოპოზიცია პათეტიკურ განცხადებებს აკეთებს და რომ თურმე ოპოზიციას ომში უნდა ქვეყნის ჩართვა. ეს არის ბოდვა. სხვა შეფასება, უბრალოდ, წარმოუდგენელია. კეთილი უნდა ინებონ თალაკვაძემაც, კობახიძემაც, რადგან ხელისუფლებაში არიან, გამოვიდნენ და ხალხს აუხსნან, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს ყველაფერი, გვითხრან, როგორ შეიძლება, ამ მიმართულებით მოვლენები განვითარდეს. რამდენი ათასია შემოსული და კიდევ რამდენი შეიძლება შემოვიდეს. არის თუ არა ეს ციფრები დათვლილი?! რა რეალობის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა. ერთწლიანი ტურისტი მე არ გამიგია. ისე არ მოხდეს, როგორც წელს ჩვენი სტუდენტები ქუჩაში რომ დარჩნენ, რადგან ბინები ვერ იშოვეს, ყველგან რუსები რომ იყვნენ. ფართო მასშტაბში არ მივიღოთ იგივე რეალობა. მე ამაზე ვსაუბრობ. ამიტომ არის მშვიდი, გეგმაზომიერი პოლიტიკის გატარება საჭირო და არა ზღაპრების მოყოლა, რომ თითქოს არც არაფერი არ ხდება და ოპოზიცია სიტუაციას აბუქებს.

„ქუთაისში „საქართველოს ბანკში“ შეჭრა კლასიკური ტერორისტული აქტია“

ვახტანგ მაისაია: „არ ვიცით, ტერორისტი ჩაბარდა თუ დააკავეს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, ახლახან ვიხილეთ ქუთაისში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალში მომხდარი დანაშაული. შეიარაღებულ ადამიანს 9 საათის განმავლობაში მძევლები ჰყავდა აყვანილი, ძარცვის მცდელობა იყო ტერორისტული ნიშნებით, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულს ჰგავს. ტერორისტი გარკვეულ მოთხოვნებს აყენებდა. მომხდარს როგორ აფასებთ?

– ეს იყო კლასიკური ტერორისტული აქტი. მის დანაშაულს ასეთი კვალიფიკაცია მიეცა. მას ეს ბრალდება აქვს წაყენებული.

– რატომ კლასიკური ტერორისტული აქტი?

– ადამიანი სამხედრო „კომუფლაჟით“ მივიდა, მძევლები აიყვანა და ტერიტორია დანაღმა, რაც ტერორისტული ქმედებაა. შესაბამისად, მან სახელმწიფოს ულტიმატუმი წაუყენა (სახელმწიფოს წაუყენა ულტიმატუმი, სხვას კი არა), პოლიტიკური მესიჯები გაახმოვანა. ხომ ასეა.

– დიახ, ცხადია.

– ანუ ეს იყო სისხლის სამართლის, კრიმინალური ტიპის, ძალადობრივი დანაშაული, რომელსაც აშკარად პოლიტიკური სუბსტრატი – პოლიტიკური საფუძველი, მიზნები და ამოცანები ჰქონდა.

– შეიძლება ვთქვათ, რა პოლიტიკური მდგენელია, რა პოლიტიკური მიზნები და ამოცანები ჰქონდა ტერორისტს?

– მისი მიზანი იყო, ჯერ ერთი, საზოგადოება დაეშინებინა და სახელმწიფო დაეშანტაჟებინა. მან განახორციელა სახელმწიფოს პოლიტიკური შანტაჟი, ანუ სახელმწიფოს მიმართ ჰქონდა ქმედება, სახელმწიფოს მიმართ წამოაყენა პრეტენზია, ანუ სახელმწიფო იყო დარტყმის მთავარი ობიექტი.

მეორე – მთელი მედია და მთელ პოლიტიკურ სისტემაში შემავალი ყველა აქტორი 9 საათის განმავლობაში დაზაფრული იყო. ეს უკვე ქმედებაა. ყველაფერთან ერთად, მოინდომა რუსული დროშა, ანკესი, ანუ რაცია. შესაბამისად, ეს ადამიანი, სავარაუდოდ, გამოცდილი სამხედრო პირია. გარკვეული სპეცმომზადება გავლილი აქვს. ჩანდა, რომ სამხედრო იყო.

– იმ დღესვე არ გამორიცხეს, რომ პირი შეიძლება დაცვის ყოფილი თანამშრომელი ყოფილიყო.

– მით უმეტეს, სამხედრო და დაცვის თანამშრომელი ერთსა და იმავე სპეცმომზადებას გადის. თავს კარგად იჭერდა, მიუხედავად იმისა, როგორ რთულ ვითარებაში იყო. ყოველ შემთხვევაში, გრამატიკულად სწორად მოახდინა პერიმეტრის აყვანა, დანაღმვა, რაც არ გაუკეთებია ესებუას. ასე ვთქვათ, ტერორისტების კუთხიდან საკმაოდ სწორად იქცეოდა. სახელმწიფო დააშანტაჟა, რაც მის ქმედებაში გამოიხატებოდა. აქედან გამომდინარე, ყველა ინდიკაციით ტერაქტია.

თან კიდევ მძევლების მეშვეობით მოლაპარაკება აწარმოა, ანუ ფსიქოლოგიური ომის ელემენტებსაც ფლობს, მაგრამ, რაც მთავარია, ეს ოპერაცია წარმატებით დასრულდა, მძევლები უვნებლად გადარჩნენ. თუმცა, სახელმწიფოს წარმომადგენლების პოზიციამ ძალიან გამაკვირვა.

– როგორ?

– ბოლომდე არ მჯეროდა. რომ ეს ოპერაცია დასრულდა. წარმატებული იმიტომ იყო, რომ, მართალია, მძევლები უვნებლად გათავისუფლდნენ, მაგრამ ოპერაციის შემდგომ, როგორც ამ დარგის სპეციალისტს, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ტერორისტმა თავის მიზანს მიაღწია და, შესაბამისად, თავისუფალი იყო.

– თან შს მინისტრს განცხადება არ გაუკეთებია, რასაც ველოდით.

– დიახ, როდესაც სახელმწიფო მაღალი თანამდებობის პირები ასეთი ინსინუაციების ადგილს ტოვებენ, ეს არის სახელმწიფოსა და ამ დარგის სპეციალისტების ჩავარდნა.

– შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოპერაცია გრძელდება? თქვენ ამაზე ეჭვი გამოთქვით.

– დიახ, სამართლიანი ეჭვი გამოვთქვი. ამაზე ვერავინ შემედავება და შემეკამათება. სავსებით რეალურია, რომ ესებუას სინდრომის ფონზე, ვთქვათ, შს სამინისტროს ჩუმად გაეშვა ტერორისტი, დავუშვათ, იმისათვის, რომ მერე მოეხდინა მისი შეფუთვა. ასეთი ეჭვები ჩნდებოდა.

შს სამინისტრო გამოვიდეს და გააკეთოს განცხადება, რომ სპეცოპერაცია მორჩა. აბა, რას ნიშნავს განცხადების გაუკეთებლობა? როდესაც ასეთი მაღალი დონის შიშია საზოგადოებაში, ასეთი მაღალი დონის მოწყვლადობა არსებობს საზოგადოების მიმართ და ამ დროს კომენტარს არავინ აკეთებს, პასუხგაუცემელი კითხვები რჩება. ამიტომ გამიჩნდა აზრი, რომ, როგორც ჩანს, რაღაც მანიპულაციას ჰქონდა ადგილი. ეს არის ჩემი სამართლიანი მოსაზრება.

– რეკომენდაციებით (ერთ-ერთი პუნქტით), რომელიც ევროკომისიამ მოგვცა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, ქვეყანაში საჭიროა „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რაც უნდა დაეფუძნოს საფრთხის დეტალურ შეფასებებს“. ტერორისტული აქტი და თან რუსეთის დროშის მოთხოვნა ხომ არ იყო გამიზნული ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსისთვის მზადების პროცესზე ჩრდილის მისაყენებლად?

– ტერორისტმა გამოიყენა პოლიტიკური შანტაჟის ფორმა, რაც, ბუნებრივია, მაგას ნიშნავს. ეს, ფაქტობრივად, სახელმწიფოს გამოწვევაა. ტერორისტული აქტი განხორციელდა. კვალიფიკაცია სწორია. ესებუამ ტერორისტული ქმედება რომ ჩაიდინა, მაშინ ვთქვი, რომ ტერორისტული აქტი ჩაიდინა. შსს-მ და უსაფრთხოების სამსახურმაც ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მიანიჭეს. მათ ეს შეფასება ჩემგან აიღეს. მაშინაც დასაბუთებულად აღვნიშნე, რომ ეს იყო ტერაქტი და ძალოვანმა სტრუქტურებმა, მგონი, გაიზიარეს. დღესაც იმავე სქემით იმოქმედეს, ანუ ჩემი სქემა კვლავ მიუდგა ქუთაისში ბანკში შეჭრილი პირის ქმედებას.

მეორეც – ძალიან ბევრი კითხვაა. იმედია, გამოძიება დაადგენს, რა იყო, რასთან გვქონდა საქმე და როგორი ტერორისტული აქტი იყო.

– როგორ ფიქრობთ, ეს პირი მარტო მოქმედებდა თუ თანამზრახველები ჰყავდა და ორგანიზებული ჯგუფი მოქმედებდა?

– მე ამაზე მინიშნება გავაკეთე, ტერორისტს შეიძლება თანამზრახველები ჰყავდეს, რადგან საკმაოდ მიზნობრივად იყო შერჩეული – ობიექტი ქალაქის ცენტრშია, იგივე ბანკია, რომელშიც ესებუა შეიჭრა. ესებუას ტიპის ტერაქტი გაიმეორა. ესეც შეგნებული და გაცნობიერებული მომენტი იყო. პირმა საკმაოდ სერიოზული შეიარაღება შეიტანა ობიექტზე. გადაადგილებოდა შეიარაღებით და ობიექტზე იოლად შეიტანა, რაც თანამზრახველის გარეშე გაუჭირდებოდა (მე ზოგადად გისახელებთ ინდიკაციებს).

მან მოითხოვა რაცია, ვერტმფრენი და რუსული დროშა. ესეც საინტერესო ფაქტია.

– ვთქვათ, ფული და ვერტმფრენი რომ მიეცათ, რუსული დროშით რუსეთში წავიდოდა?

– ალბათ. გადავიდოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ჩაბარდებოდა და მოითხოვდა თავშესაფარს.

– ანუ ამ ქმედებით რუსული საქმე გააკეთა?

– ამას გამოძიება დაადგენს. არ მინდა, გამოძიებას ჩემი კომენტარით ხელი შევუშალო. საეჭვო ინდიკაცია და გონივრული ეჭვი ასეთ სცენარებს არ გამორიცხავს. გამოძიებამ ეს ვერსიაც უნდა შეისწავლოს.

– შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შსს მუშაობს ამ პირთან დაკავშირებული პირების დაკავებაზე და ოპერაცია გრძელდება?

– ეს შეიძლება ერთ-ერთი სამუშაო ვერსია იყოს. ამ ვერსიაზე შსს, ალბათ, იმუშავებს და გარკვეული დასკვნებიც შეიძლება მივიღოთ. მე მაშინვე ვთქვი, რომ ტერორისტებს თანამზრახველები ეყოლებოდა. ამ ტერაქტის მასშტაბები, მისი განვითარების გარემოებები ინსინუაციების გაკეთების საშუალებას იძლევა.

– შეიძლება, ამ ტერაქტით მავანმა მიზანს მიაღწიოს, თუკი ეს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების ჩასაშლელად იყო გამიზნული?

– კი, რა თქმა უნდა. მომხდარ ფაქტში არის ორგანიზებული დანაშაულის ელემენტები, გადავიდა ტერაქტის ფორმაში და აჩვენა, რომ შესაძლებელია, ტერაქტი და ორგანიზებული დანაშაული საქართველოში ასეთი ფორმით განხორციელდეს. ბუნებრივია, იმ მიზანსაც ისახავდა, ეჭვი გაჩენილიყო, ძლიერი შეიარაღების ფონზე, საეჭვო ვითარებაში ტერორისტი როგორ დანებდა.

ესებუასაგან განსხვავებით, ამას მეტი შანსი ჰქონდა, დავუშვათ, უსაფრთხო ადგილზე გასულიყო. ესეც საინტერესო ფაქტი იქნებოდა, მაგრამ მოხდა პარადოქსული ვარიანტი – ტერორისტი ჩაბარდა. თუმცა, არ ვიცით, ჩაბარდა თუ დააკავეს, ამიტომ არის შშს-ს მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედება ინფორმაციის მოუწოდებლობა.

– შეიძლება, ეს ტერაქტი დაკავშირებული იყოს ჩვენს რომელიმე პარტიასთან, რომელიც ხელისუფლებას უპირისპირდება და უნდა, ხელისუფლება პრორუსულად წარმოაჩინოს? ამ კუთხით რომ შევხედოთ ფაქტს?

– არა მგონია. ეს ღრმა ინსპირაციული თეორიაა.

– თუ შევალთ ღრმა კონსპირაციულ თეორიაში და აქედან გამომდინარე ვიმსჯელებთ?

– როგორც ვიცი, მეორე კონსპირაციული თეორიაც გაჩნდა, რომ მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ დადგა სპექტაკლი, რათა გადაეფარა სკანდალი, რომელიც ბოლო დროს იყო ეფსებეს წარმომადგენელთან გომელაურის შეხვედრაზე. მე არც ერთს ვიზიარებ და არც – მეორეს, თუმცა, შეიძლება, რაღაც საფუძველი აქვს.

ამ ტერაქტს ჰქონდა კარგად გამართული და გამოკვეთილი გეოპოლიტიკური მდგენელი იმიტომ, რომ მან თავისი როლი მაინც შეასრულა.

– რუსეთის მიზნები იკვეთება? რუსეთს ხომ არ უნდა, ევროკავშირსა და ნატოში გავწევრიანდეთ.

– პარლამენტში შეიქმნა ჯგუფი, რომელიც მუშაობს ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაზე. ამ ჯგუფის მუშაობის პარალელურად ტერაქტის მოწყობა, სავსებით შესაძლებელია, გამიზნული იყო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესის ჩასაშლელად. მისი მიზანი რომ არ განხორციელდეს, ორგანიზებულ დანაშაულზე დიდი ყურადღება უნდა გამახვილდეს.

სხვათა შორის, მე, როგორც პარლამენტში შექმნილი ამ სამუშაო ჯგუფის წევრმა, დავაყენე საკითხი, რომ ყურადღება მიგვექცია ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორიზმს შორის კავშირზე, დაკავშირებულიყო ტერორიზმის ფენომენთანაც, მაგრამ მაშინ სამუშაო ჯგუფის მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელმა ჩათვალა, რომ ეს მეტისმეტი გადამლაშება იქნებოდა. ჩემი წინადადება არ გაიზიარეს.

– ალბათ, ახლა დაამატებენ.

– მე მაშინ მართალი ვიყავი. ამ საკითხს განვიხილავდი იმ ჭრილში, ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორისტულ ჯგუფებს შორის გარკვეული კორელაცია რომ დაგვფიქსირებინა. სამწუხაროდ, რეალობა აღმოჩნდა. ახლა სამუშაო ჯგუფი რას გააკეთებს, არ ვიცი. სამუშაო ჯგუფში ამ საკითხს კიდევ დავაყენებ. საქართველოს ბევრი აქვს გასაკეთებელი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

ხატია დეკანოიძე: „კულტურის მინისტრი ტყუის, როდესაც ამბობს, რომ 2640 ექსპონატია დაკარგული“

– კულტურის მინისტრი ტყუის, როდესაც ამბობს, რომ 2640 ექსპონატია დაკარგული – როგორც ჩანს, ეს მანიპულაცია, ტყუილი და იმაზე აპელირებაა, რომ კულტურის მინისტრს ჰგონია, ამ ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება გაუვიდეს, – ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ხატია დეკანოიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სადაც კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს „მინისტრის საათის“ ფორმატში უსმენენ.

დეკანოიძემ წულუკიანს მიმართა კითხვით, თუ რატომ იტყუება.

– შარშან იანვარში კულტურის მინისტრმა განაცხადა, რომ დაკარგულია ექსპონატები მაშინ, როდესაც პატარა ბოლშევიკი მიავლინა მუზეუმში. შემდეგ თქვა, რომ ამ ექსპონატების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია გადაეცემოდა საგამოძიებო უწყებებს. შემდეგ გაირკვა, რომ ეს ექსპონატები დაკარგული არ არის და რეალურად საზოგადოებას არავითარი ინფორმაცია არ გაუგია, სად არის საგამოძიებო მასალები. მაშინ იცრუეთ და კულტურის მინისტრი ახლაც ტყუის, როდესაც ამბობს, რომ 2640 ექსპონატია დაკარგული, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. როგორც ჩანს, ეს მანიპულაცია, ტყუილი და იმაზე აპელირებაა, რომ კულტურის მინისტრს ჰგონია, ამ ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება გაუვიდეს. მთავარი შეკითხვაა, რატომ ტყუის? – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც დეკანოიძემ საკუთარი გამოსვლის დროს ისაუბრა, სპორტის ფედერაციებია და აღნიშნა, რომ მინისტრი მათ დაერია.

– როგორც ჩანს, კულტურის მინისტრი სპორტის ფედერაციებს დაერია. მინდა შევახსენო ერთ-ერთი არჩევნები, როდესაც რაგბის კავშირში აირჩიეს ადამიანი, რომელიც ძალიან ახლოს იყო ბიძინა ივანიშვილთან. მაშინ, 2014 წელს, ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, ერთ-ერთი ვიცეპრეზიდენტი უნდა დავნიშნო, რომელიც გააკონტროლებს ყველა ფინანსს, შემოსავალს, გასავალს, რომ მიზნობრივია – ამას უნდა შევხედოო. მაინტერესებს, რატომ არაფერი უთქვამს მაშინ მინისტრს რაგბის კავშირის არჩევნებზე, სადაც იყო ცემა-ტყეპა, სროლა და რაგბის კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს ბიძინა ივანიშვილის ახლო მოკავშირე. მაინტერესებს, რატომ ჰგონია კულტურის მინისტრს, რომ მხოლოდ მუზეუმის თანამშრომლებზე ან გაგდებულ ადამიანებზე უნდა ისაუბროს და ბოლშევიკები მიავლინოს მუზეუმში, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

ყალბი 100-ლარიანი კუპიურების დამზადება-გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, ბრალდებული თბილისში, საცხოვრებელ სახლში ყალბ 100-ლარიან კუპიურებს ამზადებდა, რომლის შემდგომ რეალიზაციასაც თბილისის სავაჭრო ქსელში ახდენდა.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ქ. თბილისში, საცხოვრებელ სახლში ამზადებდა ყალბ 100-ლარიან კუპიურებს, რომლის შემდგომ რეალიზაციასაც ახდენდა თბილისის სავაჭრო ქსელში. დადგენილია არაერთი სავაჭრო ობიექტი, სადაც ბრალდებულის მიერ გასაღებულ იქნა ყალბი 100-ლარიანი კუპიურები.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ჯამში ამოღებულია 800 ლარის ოდენობის ყალბი 100-ლარიანი კუპიურა, ასევე ამოღებულია ყალბი ფულის დასამზადებლად განკუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

10-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს – პროკურატურამ ბანკზე თავდამსხმელს ბრალი ოფიციალურად წარუდგინა



ტერორისტული აქტის, ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების ფაქტებზე პროკურატურამ გრიგოლ ნარსიას ბრალდება ოფიციალურად წარუდგინა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 20 სექტემბერს, 11:15 საათზე, სამხედრო უნიფორმით, ნიღბით და ხელთათმანებით შემოსილი პირი შეიარაღებული ხელყუმბარით, კუსტარულად გადაკეთებული ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო ვაზნებით, დანით, ხელნაკეთი იმიტირებული ასაფეთქებელი მოწყობილობით ქუთაისში, „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთ სერვისცენტრში შეიჭრა და იქ მყოფი მოქალაქეების დაშინების მიზნით იარაღი გაისროლა, რის შემდეგაც შენობაში მყოფ მოქალაქეებს სიცოცხლის მოსპობის მუქარით მისი მითითებების შესრულება მოსთხოვა.

თავდამსხმელის ბანკში შეჭრისთანავე რამდენიმე პირმა შენობის დატოვება მოახერხა, ხოლო შენობაში დარჩენილი 13 პირი ბრალდებულმა ტერორისტული მიზნით მძევლად აიყვანა. მან ხელყუმბარის და იარაღის დემონსტრირებით მუქარა განაგრძო, პარალელურად კი, ბანკის ცენტრალურ კარებზე იმიტირებული ასაფეთქებელი მოწყობილობა დაამაგრა, რომლის მსგავსი ნივთიც ასევე მოთავსებული ჰქონდა სხეულზე და ბანკის თანამშრომლებისგან თანხის გადაცემა მოითხოვა.

ბრალდებულმა მძევლები ძალადობის მუქარით ბანკის სერვისცენტრის ერთ სივრცეში შეკრიბა და მოსთხოვა, დაჰკავშირებოდნენ პოლიციას, ბანკის ხელმძღვანელობას, ასევე სოციალური ქსელის გამოყენებით ჩაერთოთ პირდაპირი ეთერი, რათა საზოგადოებას ბანკზე თავდასხმის შესახებ შეეტყო.

ხელისუფლების წარმომადგენლებთან კავშირის დამყარების შემდეგ თავდამსხმელმა მოითხოვა, მისთვის გადაეცათ 2.000.000 აშშ დოლარი, ვერტმფრენი, მიკროავტობუსი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშა და ანკესი. მოთხოვნების შეუსრულებლობის და მძევლების გამოსახსნელად სპეცოპერაციის ჩატარების შემთხვევაში, ბრალდებული საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ხელყუმბარის აფეთქებით და მძევლების სიცოცხლის მოსპობით იმუქრებოდა.

რამდენიმე საათის შემდეგ პოლიციის ჩართულობით ბანკის შენობიდან ხუთი მძევლის გამოყვანა მოხერხდა, ხოლო 19:36 საათზე, სამართალდამცავებმა განეული წინააღმდეგობის მიუხედავად, თავდამსხმელი ბანკის სერვისცენტრში დააკავეს, რის შემდეგაც ყველა მძევალი წარმატებული სპეცოპერაციის შედეგად უვნებლად გაათავისუფლეს.

დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება), 323-ე მუხლის პირველი ნაწილით (ტერორისტული აქტი) და 329-ე მუხლის პირველი ნაწილით (მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს დღესვე მიმართავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, – ნათქვამია პროკურატურის ოფიციალურ განცხადებაში.

სოსო გოგაშვილი: „ჩემო მურუს, ახლა შენ, თუ გინდა, მუქარა დაარქვი, მე ამას მხილებას ვეძახი“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე, ბრალდებული სოსო გოგაშვილი მოსამართლე ლევან მურუსიძეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან პასუხობს.

ინფორმაციაში, რომელიც გოგაშვილის „ფეისბუქგვერდზეა“ განთავსებული, გოგაშვილი ლევან მურუსიძესთან მის ურთიერთობაზე საუბრობს. როგორც გოგაშვილი აცხადებს, სწორედ მურუსიძე და თავად „ალაგებდნენ“ „ოცნების“ სასარგებლოდ სასამართლო დავების გადაწყვეტის საკითხს.

სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ასევე აცხადებს, რომ მისი დაკავების შემდეგ, ლევან მურუსიძე მისი დაცვის წევრს შეხვდა და უთხრა, რომ „ის და ჩინჩალაძე ყველაფერს ეცდებოდნენ საქმის დასალაგებლად, რასთან დაკავშირებითაც, გოგაშვილმა მას პასუხი მოგვიანებით გაუგზავნა კვლავ დაცვის წევრის საშუალებით, რომ ის ბინძური სისტემის მხილებას აპირებდა“.

– ლევან მურუსიძეს ვიცნობ 1995 წლიდან. იგი გავიცანი „სახალხო პარტიის“ ვაკის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, თუმცა, მას შემდეგ ურთიერთობა არ გვქონია. ურთიერთობა აღდგა მას შემდეგ, რაც ჩინჩალაძე და მურუსიძე გარიგდნენ ივანიშვილთან. ჩინჩალაძის მოთხოვნით კოორდინაცია დამყარდა სუს-თან და მთავარი საკონტაქტო პირები „ოცნების“ სასარგებლოდ დავების გადაწყვეტის ნაწილში ვიყავით მე და მურუსიძე. ინტერესის სფერო არ იყო მხოლოდ საარჩევნო დავები, რა თქმა უნდა ნებისმიერი შეკვეთა, რაც პარტიიდან მოდიოდა, უნდა შეესრულებინათ. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი სამსახურიდან ჩინჩალაძესთან და მურუსიძესთან იგზავნებოდა ოპერატიული მასალაც მოსამართლეების შესახებ. ჩვენი შეხვედრები იმართებოდა ჩემს საცხოვრებელ სახლში, დიღომში სასამართლოსთან და ასევე, იუსტიციის საბჭოსთან.

ასევე, ჩინჩალაძესა და მურუსიძეს კახეთში, კერძოდ, დედოფლის წყაროში აქვთ 100 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი, რომელიც შეიძინეს ჩემი დახმარებით 2016 წელს. ნაკვეთები გაფორმებულია მათ სანდო პირზე, ხოლო ამ მიწის მოვლაში მათ სჭირდებოდათ მცოდნე ადამიანი, ვისი მოძებნაც მე მთხოვეს. მე ეს ადამიანი მათ დავაკავშირე. 2016 წლიდან ჩემს დაკავებამდე ისინი ჩემი დაცვის წევრის საშუალებით იყვნენ კავშირზე, იღებდნენ ინფორმაციას ჩემგან, თავის მხრიდან მიგზავნიდნენ მეც მოსამართლეების შესახებ, ვისი კონტროლიც აინტერესებდათ.

ჩემი დაცვის წევრის საშუალებით აგზავნიდნენ მიწის დამუშავების თანხას. ეს თანხა ხან მურუსიძეს ნუცუბიძეზე მოჰქონდა ჩემს სახლში. როდესაც ხდებოდა მოსავლის (მარცვლეული) აღება და რეალიზაცია, მათ ჩემი დაცვის წევრი რეალიზაციისგან მიღებულ თანხას, დაახლოებით 150.000 – 200.000 ლარს აწვდიდა ხან საცხოვრებელ სახლში ძეგვში, ხან სასამართლოსთან დიღომში, ზოგჯერ თანხის ასაღებად მურუსიძე თავად მოდიოდა ჩემთან სახლში. მოკლედ მურუსიძეს ჩემთან და ჩემი დაცვის წევრთან, სამხარაძესთან ჰქონდა აქტიური ურთიერთობა.

ჩემი დაკავების შემდეგ სამხარაძესა და მურუსიძეს შორის შედგა შეხვედრა, რა დროსაც მან სამხარაძეს უთხრა, რომ ის და ჩინჩალაძე ყველაფერს ეცდებოდნენ, რომ ჩემი საქმე დაელაგებინათ, მე პასუხი დაგვიანებით, მაგრამ გავუგზავნე სამხარაძის საშუალებით, რომ მე ვაპირებდი ბინძური სისტემის მხილებას, ვისაუბრებდი სასამართლოზეც და მათ გადამალულ ქონებებზეც.

ჩემო მურუს, ახლა შენ ამას, თუ გინდა, მუქარა დაარქვი, მე ამას მხილებას ვეძახი, – წერს სოსო გოგაშვილი.

ცნობისთვის, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, ლევან მურუსიძემ 21 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ სუსის უფროსის ყოფილმა მოადგილემ სოსო გოგაშვილმა მას პირადად მიმართა წერილით, სადაც ციხიდან გათავისუფლების შესახებ დახმარებას სთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, „გოგაშვილი გარკვეული ნაბიჯის გადადგმაზე საუბრობდა სასამართლოს წინააღმდეგ“.

მურუსიძის თქმით, ის შესაბამისი მტკიცებულებებით პროკურატურას უახლოეს პერიოდში მიმართავს.

მურუსიძე: „სოსო გოგაშვილის შუამავლობა ვინმესთან რაში დამჭირდებოდა“

ლევან მურუსიძე სოსო გოგაშვილის ბრალდებებს უარყოფს და ამტკიცებს, რომ მოსამართლეებზე ზეწოლა და კომპრომატების მოგროვება სუს-ისთვის არასდროს უთხოვია.

– სუს-ს არა აქვს იმდენი ინფორმაცია, შეიძლება. მე მაქვს იმდენი პირადი ურთიერთობა თითოეულ მოსამართლესთან, რომ არავითარი ინფორმაცია, რომ ადამიანური და ნორმალური და კოლეგიალური ურთიერთობები ავაწყო, არაფერში არ მჭირდება. სოსო ვერ მომაწვდიდა მე და, ჯერ ეს ერთი, აი, რა ინფორმაცია, რა სისულელეა, რა ინფორმაციას მაწვდიდა... ცხოვრებაში დანაშაული არ ჩამიდენია და ვერავინ ვერ დაამტკიცებს იმას რომ მე რომელიმე მოსამართლეზე რამე ზეწოლა განმეხორციელებინა. შესაბამისად, თუ მე მოსამართლეზე ზეწოლას ვახორციელებ, ამის სოსო გოგაშვილის შუამავლობა ვინმესთან, რაში დამჭირდებოდა. იმდენად აბსურდული თემაა, ამ ყველაფრის გამოსავალი და წამალი რეალურად, მე ვფიქრობ, არის, რომ ჩატარდეს გამოძიება, – ამბობს ლევან მურუსიძე „მთავართან“ სატელეფონო კომენტარში.

„მოსამართლედ დანიშვნა მხოლოდ ახლობლობითა და ნათესაობით ხდება“

ნეპოტიზმი და კლანური მმართველობა სასამართლო სისტემაში – მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები სისტემურ პრობლემებზე ალაპარაკდნენ. „სასამართლო გუშაგთან“ ინტერვიუს დროს სისტემის თანამშრომლები პირდაპირ ამბობენ, რომ სასამართლო ჩაკეტილია და მოსამართლედ დანიშვნა მხოლოდ ახლობლობითა და ნათესაობით ხდება. მოსამართლეები პრობლემას აწყდებიან დაწინაურების დროსაც, კარიერული წინსვლის მთავარი წინაპირობა გავლენიანი მფარველები და კლანის ერთგულებაა.

– ჩემს სასამართლოში, ვიტყოდი, ასეთ შედარებას მოვიყვანდი, რომ აი, ჩიტიც კი ვერ შემოფრინდება, თუ არ არის ნათესავი, ახლობელი, მეგობრის შვილი, ნათელმირონი... ჩემს სასამართლოში რაც ხდება, ზუსტად ვიცი, თუმცაღა არ არის ეს მარტო ჩემს სასამართლოში, ეს არის მასშტაბური, – ამბობს სასამართლოს თანამშრომელი №2.

– უარესობისკენ წავიდა ნამდვილად საქმე, უფრო და უფრო უკვე რთული გახდა და ახლა საერთოდ შეუძლებელი მგონია – მით უმეტეს, მოსამართლის პოზიციაზე ვიღაცის დახმარების გარეშე, საერთოდ შეუძლებელი მგონია, რომ ვინმე შეიძლება მოხვდეს ამ პოზიციაზე ან იუსტიციის უმაღლეს სკოლაშიც კი ჩააბაროს, – ამბობს მოსამართლე №5.

სტრასბურის სასამართლომ საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება გამოიტანა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება გამოიტანა. გიორგი მაქარაშვილმა, ირაკლი კაჭარავამ და ზურაბ ბერძენიშვილმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ სარჩელი 2019 წლის ნოემბერში პარლამენტის შენობასთან გამართული დემონსტრაციის დროს შეკრების უფლების შეზღუდვასთან და მათ დაკავებასთან დაკავშირებით შეიტანეს. საქმე ეხება განმცხადებლების საჩივარს იმის შესახებ, რომ მათი დაკავება დემონსტრაციაზე და შემდგომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის გასამართლება პოლიციის კანონიერი ბრძანებების დაუმორჩილებლობისთვის კონვენციის მე-6 და მე-11 მუხლის დარღვევა იყო.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოება იყო უსამართლო და აცხადებდნენ, რომ შიდა სასამართლოები უპირატესობას ანიჭებდნენ პოლიციელების განცხადებებს განმცხადებლების წინააღმდეგ და რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოებაში პროკურორის არარსებობის შემთხვევაში, საქმის განმხილველი მოსამართლე ასრულებდა ამ ფუნქციებს და დარღვეული იყო სასამართლო მიუკერძოებლობა.

განმცხადებლები ასევე ჩიოდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ ადეკვატური დრო და საშუალებები, რათა მოემზადებინათ თავიანთი დაცვა და არ შეეძლოთ მოწმეების დასწრების უზრუნველყოფა იმავე პირობებით, როგორც ბრალდების მხარეს. ამასთან, ისინი ჩიოდნენ, რომ მათი დაპატიმრებითა და გასამართლებით დაირღვა მათი მშვიდობიანი შეკრების უფლება. საჩივრის ამ ნაწილთან დაკავშირებით სასამართლო არ მიიჩნევს, რომ პროკურორის არყოფნა მომჩივნების წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოებაში, ძირს უთხრის კონვენციის მე-6 მუხლის ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნას.

განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათი დაკავება დემონსტრაციაზე და შემდგომში მათი გასამართლება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პოლიციის კანონიერი ბრძანებების დაუმორჩილებლობისთვის იყო მათი მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევა, რაც არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლს.

სტრასბურის სასამართლო მიიჩნევს, რომ 2019 წლის 18 ნოემბრის დემონსტრაცია განზრახ იყო ორგანიზებული ისე, რომ განზრახ დარღვეულიყო საზოგადოებრივი ცხოვრება დემოკრატიულად არჩეული საკანონმდებლო ორგანოს ბლოკირების გზით გარკვეული პოლიტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე, რაც არის შესაბამისი წესებისა და რეგულაციების აშკარა დარღვევა. სასამართლომ არ შეიძლება არ აღნიშნოს პირველი და მესამე მოსარჩელის გარკვეულწილად ურთიერთგამომრიცხავი არგუმენტები და საკუთარი აღიარებები.

ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არც პირველ და არც მესამე მომჩივანს არ ჩაუდენიათ ძალადობრივი ქმედებები და არც სხვები წაუქეზებიათ ასეთ ქმედებებში ჩართვისკენ, პარლამენტის შენობის შესასვლელების სრული ბლოკირება და მათ გასახსნელად მოგვიანებით პოლიციის ძალისხმევის შეფერხება, შიდა კანონმდებლობის, მრავალი გაფრთხილების და დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის წევრების მიერ მათ ფუნქციების შესრულების საჭიროებისა და უფლების აშკარა უგულებელყოფით, შეიძლება შეფასდეს, როგორც „დასაგმობი“ საქციელი. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს, რომ სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ფართო ზღვრით ამგვარი ქცევის შეზღუდვის მიზნით ზომების მიღების აუცილებლობის შეფასებისას, მათ შორის სასჯელის, თუნდაც სისხლის სამართლის ხასიათის, დაწესების სახით. ამ კონტექსტში მოპასუხე სახელმწიფოს უფლება ჰქონდა მიეჩნია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესები აღემატებოდა მოსარჩელეთა ინტერესებს, რომლებიც ახორციელებდნენ პარლამენტის შენობის ბლოკირებისას იქამდე, ვიდრე მთავრობასთან მოლაპარაკებებში არ იქნა მიღწეული პროგრესი. ამ მხრივ, სასამართლო განსაკუთრებით აღნიშნავს პირველი და მესამე მოსარჩელის სამოქალაქო აქტივისტების სტატუსს და აღნიშნავს, რომ დემონსტრაციების ორგანიზატორები და მონაწილეები, როგორც დემოკრატიული პროცესის მონაწილეები, უნდა იცავდნენ ამ პროცესის მარეგულირებელ წესებს მოქმედი რეგულაციების დაცვით.

სტრასბურის სასამართლო ვერ განიხილავს, რომ პირველი და მესამე მოსარჩელეების დაკავება იყო აშკარად თვითნებური და უსაფუძვლო. ამასთან, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ არ გამოიჩინა გარკვეული ტოლერანტობა შეკრებილების მიმართ. ამას გარდა, პირველი და მესამე მოსარჩელე პარლამენტამდე გზის გახსნის ბრძანებას რომ დამორჩილებოდნენ, მათ საპროტესტო აქციის გაგრძელებას არაფერი შეუშლიდა ხელს.

სასამართლო აცხადებს, რომ პირველ (გიორგი მაქარაშვილის) და მესამე (ირაკლი კაჭარავას) განმცხადებლებთან დაკავშირებით კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება მეორე განმცხადებელს (ზურაბ ბერძენიშვილი), სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელმისაწვდომ მასალებში არ ჩანს, რომ ის იყო დემონსტრაციის ორგანიზატორთა შორის ან პირადად გადაკეტა პარლამენტის შენობის შესასვლელები. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადგილი ჰქონდა სადავო დებულების დარღვევას მეორე განმცხადებლის მიმართ.

ახმედ ზაკაევი, რომლის ლიკვიდაციას რამზან კადიროვი ითხოვს, უკრაინაში მეხუთე ჩეჩნურ ბატალიონს აყალიბებს

დევნილობაში მყოფი ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის მთავრობის მეთაური ახმედ ზაკაევი უკრაინაში იმყოფება და მორიგ ჩეჩნურ ბატალიონს აყალიბებს. ამის შესახებ უკრაინული გამოცემა Censor.NET იუწყება.

– ახლა მიმდინარეობს კიდევ ერთი ახალი ბატალიონის ფორმირების პროცესი. ამჟამად უკრაინაში ოფიციალურად გვაქვს 4 ბატალიონი. მათგან სამი უკრაინის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია, ერთი – უცხოური ლეგიონია, ერთი კი – მოხალისეთა ბატალიონია, შეიხ მანსურის სახელობის, რომელიც აქ 2014 წლიდან არის, – განმარტა იჩქერიის ლიდერმა.

მანვე აღნიშნა, რომ რამდენიმე დღე გაატარა ხერსონისა და ზაპოროჟიეს რაიონებში ახალი ბატალიონის შესაქმნელად.

21 სექტემბერს ჩეჩნეთის საოკუპაციო რეჟიმის მეთაურმა რამზან კადიროვმა თავის „ტელეგრამ“ არხზე მოუწოდა ჩეჩნებს, მათ შორის უკრაინის მხარეს ომში მონაწილეებს, მოკლან ახმედ ზაკაევი.

გერმანიაში 4.8 მილიარდ ევროზე მეტი ღირებულების რუსული აქტივები დააყადაღეს

გერმანიაში, რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციების ამოქმედებიდან, 4.8 მილიარდ ევროზე მეტი ღირებულების რუსული აქტივები დააყადაღეს. ინფორმაციას Spiegel-ი გერმანიის ეკონომიკის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ამ თანხის ნახევარზე ოდნავ ნაკლები გერმანულ ბანკებში რუსი მფლობელების სახსრებია, 1 მილიარდ ევროზე მეტი მოძრავი ქონების ღირებულებაა. მათ შორისაა იახტები, რომლებიც რუსეთის სანქცირებული ოლიგარქების საკუთრებაშია. დანარჩენი არის უძრავი ქონება და სხვა სახის აქტივები.

გერმანიის ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ სანქციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რუსეთის ეკონომიკაზე.

გერმანელი ექსპერტების აზრით, წელს რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი მინიმუმ 6%-ით შემცირდება.

ირანში საპროტესტო აქციების ფონზე ინტერნეტთან წვდომა შეიზღუდა

ირანში ოთხშაბათს, ქვეყანაში მიმდინარე ანტისამთავრობო საპროტესტო აქციების ფონზე, ინტერნეტი ხარვეზებით მუშაობს.

ამის შესახებ Associated Press იუწყება.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მობილური ტელეფონებიდან ინტერნეტზე წვდომა არ შეუძლია, რამდენიმე სოციალური ქსელი არ მუშაობს. ირანის კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მინისტრმა ისა ზარეპურმა ოთხშაბათს აღნიშნა, რომ ინტერნეტთან წვდომის გარკვეული შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს „უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო“.

მან არ დააკონკრეტა, რა კონკრეტულ შემაკავებელ ზომებზე შეიძლება საუბარი.

სააგენტოს ცნობით, ირანში ოთხშაბათს გრძელდება საპროტესტო აქციები, რომლებიც 22 წლის მაჰსა ამინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო.

გოგონა ზნეობის პოლიციამ ჰიჯაბის „არასათანადო ტარების“ გამო დააკავა. ის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ამასთან, პოლიციაში აცხადებენ, რომ გოგონა გულის შეტევით გარდაიცვალა, მისი ოჯახი კი ამტკიცებს, რომ მას ჯანმრთელობის, კერძოდ, გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემები არ ჰქონია. ამინის ახლობლები ასევე აღნიშნავენ, რომ ცხედრის ნახვის ნებართვა ვერ მიიღეს.

„აზოვსტალის“ რამდენიმე დამცველი რუსული ტყვეობიდან გათავისუფლდა

„აზოვსტალის“ რამდენიმე დამცველი რუსული ტყვეობიდან გაათავისუფლეს. ამის შესახებ გამოცემა Censor-ი, Mariupol Now Telegram-ზე დაყრდნობით იუწყება.

გამოქვეყნდა გათავისუფლებული დამცველების ფოტოც.

ცნობილია, რომ ტყვეობიდან გაათავისუფლეს მარიუპოლის საპატრულო პოლიციის უფროსი მიხაილ ვერშინინი, ეკატერინა პოლისჩუკი და სერჟანტი მიხეილ დიანოვი.

ამასთან, ცნობილი გახდა, რომ ტყვეობიდან თავისუფალია 10 უცხოელიც, რომლებიც უკრაინულ მხარეს იბრძოდნენ.

გათავისუფლებულებს შორის არიან აშშ-ის, მაროკოს, დიდი ბრიტანეთის, შვედეთისა და ხორვატიის მოქალაქეები, რომლებიც უკვე ჩავიდნენ საუდის არაბეთში. BBC-ის ინფორმაციით, ტყვეებს შორის დიდი ბრიტანეთის ხუთი მოქალაქეა. მათ შორის ერთს სიკვდილი ჰქონდა მისჯილი.

უცხოელ ტყვეთა გაცვლა საუდის არაბეთის შუამავლობით შედგა.

ენტონი ბლინკენი: „პუტინი სისუსტის პოზიციიდან მოქმედებს და არა – სიძლიერის“

პრეზიდენტი პუტინი სისუსტის პოზიციიდან მოქმედებს და არა – სიძლიერის. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი „ტვიტერში“ წერს.

– პრეზიდენტ პუტინის მოწოდება უკრაინაში დამატებითი რუსული სამხედრო ძალების შესახებ ასახავს ბრძოლის ველზე რუსეთის ბრძოლასა და იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტი პუტინი სისუსტის პოზიციიდან მოქმედებს და არა – სიძლიერის, – წერს ბლინკენი.

შეგახსენებთ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გუშინ ქვეყანაში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს განცხადებით, განკარგულების ფარგლებში 300.000-მდე რეზერვისტის მობილიზება მოხდება.

დიმიტრი მედვედევი: „შემოერთებული ტერიტორიების დასაცავად სტრატეგიულ ბირთვულ იარაღსაც გამოვიყენებთ“

– რეფერენდუმები ჩატარდება და დონბასის რესპუბლიკებსა და სხვა ტერიტორიებს რუსეთის შემადგენლობაში მივიღებთ, – ამის შესახებ რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი მედვედევმა განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთის შეიარაღებული ძალები ყველა შეერთებული ტერიტორიის დაცვას მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

– რუსეთმა გამოაცხადა, რომ ასეთი დაცვისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ სამობილიზაციო შესაძლებლობები, არამედ ნებისმიერი რუსული იარაღი, მათ შორის სტრატეგიული ბირთვული იარაღი, – აღნიშნა მედვედევმა.

მისი თქმით, მოსკოვს დასავლეთის მუქარის არ ეშინია.

– სხვადასხვა გადამდგარი იდიოტები გენერლების ზოლებით ნუ გვაშინებენ ყირიმზე ნატოს დარტყმის შესახებ საუბრით. ჰიპერბგერითს ნამდვილად ბევრად უფრო სწრაფად შეუძლია ევროპასა და ამერიკაში სამიზნეებამდე მიღწევა, – წერს მედვედევი.

მისი თქმით, „დასავლურ ისტებლიშმენტს“ და, ზოგადად, ნატოს ქვეყნების ყველა მოქალაქეს უნდა ესმოდეს, რომ „რუსეთმა თავისი გზა აირჩია და უკან დასახევი გზა არ არსებობს“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გიორგი ხოჯევანიშვილი: „საჭიროა ქართველი ფეხბურთელების ევროპაში ინტეგრაცია“

ქართველ ფეხბურთელებს ევროპაში ინტეგრაცია უჭირთ. ამის მიზეზი ევროკავშირში ქართველი ფეხბურთელების სტატუსია, რომელიც ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებზე დაწესებული კვოტებით განისაზღვრება.

ერთადერთი ევროკავშირის ქვეყანა, სადაც ჩვენები ლეგიონერებად არ ითვლებიან, უნგრეთია. ჯერ კიდევ 2009 წელს საფეხბურთო აგენტმა ლაშა ოდილაძემ ლოზანის სპორტულ სასამართლოში უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციას დავა მოუგო. გადაწყვეტილების საფუძველი კი საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება გახდა, სადაც წერია, რომ ქართველებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მეტი უფლებები აქვთ, ვიდრე უფრო დაბალი სტატუსის მქონე ქვეყნის წარმომადგენლებს.

თუმცა, მხოლოდ უნგრეთში...

ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო წინადადებით გამოვიდა ფრაქცია „საქართველოსთვის“ წევრი, პარლამენტარი გიორგი ხოჯევანიშვილი:

– საზოგადოების ყურადღება მინდა გავამახვილო მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და უკავშირდება სპორტს, უფრო კონკრეტულად – ქართულ ფეხბურთს.

ბოლო დროს ყველა აღგვაფრთოვანა ხვიჩა კვარაცხელიას წარმატებით. თანამედროვე ქართულ სპორტში ეს მართლაც საოცრად დიდი მოვლენა იყო, რაც თითოეულ იმ ადამიანს ახარებს, რომლებსაც სხვისი წარმატებით გახარების უნარი აქვთ, მათაც კი, ვინც ფეხბურთში კარგად ვერ ერკვევა.

მაგრამ, გულდაწყვეტით მინდა აღვნიშნო, რომ, რასაც ხვიჩამ მიაღწია, ამის საშუალება ბევრ სხვა ახალგაზრდას არ ეძლევა, იმიტომ, რომ წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეებზე დაწესებულია შესაბამისი კვოტები, რაც საქართველოს მოქალაქეებს შესაბამის საფეხბურთო ჩემპიონატში თამაშს უზღუდავს. ეს კი, სხვა კონტინენტის ფეხბურთელებთან შედარებით, არათანაბარ პირობებში გვაყენებს. მათ შორის აზიის, სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ქვეყნები იგულისხმება.

ამ შემთხვევაში, ჩვენი ინტერესის საგანია პროფესიონალი სპორტსმენებისა და, კონკრეტულად ფეხბურთელების უფრო დიდი რაოდენობით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ინტეგრაცია, რაც გამოწვეულია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებით, როგორებიცაა ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების შესაძლებლობების გამოყენება.

ამ საშუალებას იყენებენ სხვა არაწევრი ქვეყნები – ბოსნია, ჩრდილოეთ მაკედონია, ალბანეთი, ჩერნოგორია... მათი წარმომადგენლები უპრობლემოდ თამაშობენ ევროკავშირის ზონის ქვეყნებში, მათ შორის, ტოპლიგების ქვეყნების ლიგებში – იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში და ასე შემდეგ.

ასევე გასათვალისწინებელია დღევანდელი გეოპოლიტიკური კონტექსტი. კონკრეტულად ავხსნი: საქართველოს გაცხადებული კურსის გათვალისწინებით, ევროპაში მეტი სპორტსმენისა და ფეხბურთელის ინტეგრაციაა შესაძლებელი, ვიდრე რუსეთში. გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებისა, რუსეთი სპორტშიც თამაშგარეთ აღმოჩნდა. რუსული კლუბები ჩახსნილი არიან საერთაშორისო ტურნირებიდან...

ევროკავშირში არსებული შეზღუდვებისა და სხვა ბიუროკრატიული პრობლემების გამო ქართველი ფეხბურთელები ხშირად რუსეთში თამაშს არჩევდნენ და არჩევენ. ეს პირდაპირ მოქმედებდა მათ ხარისხსა და განვითარების დონეზე.

რუსეთის ჩემპიონატში წლებით თამაშის შემდეგ მათ დიდი უმრავლესობას უჭირდა ევროპულ ფეხბურთში დამკვიდრება. სამწუხაროდ, რუსეთში წასული ბევრი ფეხბურთელი გვახსოვს, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობის დათმობამაც კი მოუხდათ იმ მიზეზით, რომ ლეგიონერის სტატუსს არიდებოდნენ.

ფინანსური და სოციალური სარგებელი არის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი. უფრო მეტი პროფესიონალი კადრი გვეყოლება ევროპულ ბაზარზე და ლოკალურ დონეზეც უფრო მეტი სარგებელი იქნება. ეს, თავის მხრივ, გაზრდის სატრანსფერო, მარკეტინგულ და სარეკლამო შემოსავლებს, მეორე მხრივ, გვეყოლება თვითკმარ დაფინანსებაზე მყოფ, დამოუკიდებელ კლუბებს საქართველოს ჩემპიონატში.

ასე რომ, მინდა შევახსენო შესაბამის უწყებებსა და თანამდებობის პირებს, რომ ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება, სხვა მიმართულებებთან ერთად, იძლევა სპორტის სექტორში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობას, რაც უკავშირდება საქართველოდან ევროკავშირის ზონაში მობილობის გაზრდას.

სამწუხაროდ, დღემდე ამ საკითხისთვის ვერავინ მოიცალა და, იმედია, ამ განცხადების შემდეგ მაინც გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები და, მეც მზად ვარ, ამ პროცესებში პოზიტიური როლი შევასრულო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

90 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდნილი მამაკაცი ცოცხალი გადარჩა

ბრაზილიაში მაშველებმა 90 მეტრის სიღრმის ხეობაში, რომელიც პარკ ესტრეალვაროში მდებარეობს, აღმოაჩინეს მამაკაცი, რომელმაც ვერაფრით ახსნა, როგორ აღმოჩნდა იქ.

დაშავებული მამაკაცი მას შემდეგ იპოვეს, რაც გამვლელს მისი ძახილი შემოესმა. ის შველას ითხოვდა. ადგილზე მისული მაშველები გაოგნებული დარჩნენ, როდესაც აღმოაჩინეს, რომ ხეობაში ჩავარდნილი მამაკაცი შიშველი იყო. ისინი ასევე იმანაც გააოგნა, რომ ამ სიმაღლიდან გადავარდნილი მამაკაცი ცოცხალი გადარჩა.

– მაშველები შემთხვევის ადგილზე გავგზავნეთ და მათ დაშავებული ორ კლდეს შორის ჩავარდნილი აღმოაჩინეს. ის იქიდან დამოუკიდებლად ამოსვლას ვერ ახერხებდა, – განაცხადეს სამაშველო სამსახურში და იქვე დაამატეს, რომ მამაკაცი მეტად რთულად მისადგომ ადგილას იმყოფებოდა.

მაშველებს მამაკაცის ამოსაყვანად შვეულმფრენიდან სპეციალური კალათის ჩაშვება მოუხდათ. მთელი ამ სამაშველო ოპერაციის დროს მამაკაცს გონება არ დაუკარგავს.

ხეობიდან ამოყვანის შემდეგ მამაკაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც მას სათანადო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. დაშავებული 19 წლის ნაკრძალიდან 30 კილომეტრში მდებარე ქალაქ ვილა-ველიას მკვიდრი აღმოჩნდა.

დაშავებულმა მაშველებს ვერ აუხსნა, თუ რატომ იყო შიშველი. მისი თქმით, არ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ხეობაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზესტაფონში ახალგაზრდას დენმა დაარტყა და დაიღუპა

უბედური შემთხვევა მოხდა ზესტაფონში. დენის დარტყმის შედეგად 21 წლის ბიჭი დაიღუპა.

გარდაცვლილი ახალგაზრდა გიორგი ნებიერიძეა.

შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მედიკოსებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ვილი სანიოლი: „ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ“

23 სექტემბერს ერთა ლიგის მე-5 ტურში საქართველოს ნაკრები ჩრდილოეთ მაკედონიას დაუპირისპირდება.

მაკედონური მედია მატჩის ერთ-ერთ მთავარ ინტრიგად ხვიჩა კვარაცხელიასა და ელიფ ელმასის პაექრობას ასახელებს.

– ელიფ ელმასი მრავალი წელია, რაც ჩვენი ნაკრების მთავარი ლიდერია, „ბრილიანტი“, რომელიც კიდევ მრავალი წელი გაიბრწყინებს. ნაპოლის ფეხბურთელმა კარგად იცის, რომ გუნდს გამარჯვებისკენ უნდა გაუძღვეს. შესაძლოა, ახლა საუკეთესო ფორმაში არ არის, რადგან ბოლო პერიოდში სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას განიცდის.

ამის მიზეზი მეტოქისა და ნაპოლის ახალი ვარსკვლავი ხვიჩა კვარაცხელიაა. გარემარბი ჯერ მხოლოდ 21 წლისაა და ამ სეზონში მონაწილეობა 7 საგოლე ქმედებაში მიიღო. ნაპოლის მარცხენა ფრთაზე სწორედ ქართველი თამაშობს და ელმასი მისი შემცვლელის როლს ირგებს. ელმასის ხარისხი და პოტენციალი იმ მცირე წუთებს არ შეესაბამება, რომლებსაც ლუჩანო სპალეტი აძლევს.

თუმცა, მოცემულობას უნდა შეეგუოს და სიტუაციასთან გამკლავება ისწავლოს. საქართველოსთან მატჩი მისთვის საპასუხო შანსია. ელმასი ჩვენი „პირველი ვიოლინოა“. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ხვიჩა მხოლოდ სპალეტის პირველი არჩევანია და მეტი არაფერი.

ერთა ლიგაზე ჩრდილოეთ მაკედონიასთან მატჩის წინ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ვილი სანიოლმა ისაუბრა.

ვილი სანიოლი:

– ძლიერ ჯგუფში ვართ, ჩრდილოეთ მაკედონია ძლიერი ნაკრებია, ძლიერი ფეხბურთელებით. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ფავორიტად ვინ მიიჩნევა. ჯგუფური ეტაპის დაწყების წინ ფავორიტად ჩრდილოეთ მაკედონია დავასახელე, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგი თამაშები ჩავატარეთ. გამარჯვება და პირველი ადგილის დაკავება გვსურს და, თუკი ასე არ მოხდება, ძალიან იმედგაცრუებული ვიქნებით.

ვიქნებით თუ არა პრაგმატულები მაკედონიელებთან? ჯობია, ის თამაში ვითამაშოთ, რაც გამოგვდის. შეუძლებელია, თამაში ისე დაიწყო, რომ ქულა გქონდეს დასახული მიზნად და მოიპოვო – ასე შედეგს ვერასოდეს მიაღწევ. ჯობია, გავაგრძელოთ ის, რაც კარგად გამოგვდიოდა. ბურთის ფლობასთან ერთად, სწრაფი შეტევები განვახორციელოთ. თუ ისევე მივუდგებით ხვალინდელ შეხვედრას, როგორც ივნისის მატჩებს, წარმატებას მივაღწევთ...

სრული შემადგენლობით მხოლოდ ერთი ვარჯიში ჩავატარეთ და ჯერ მიჭირს თქმა, ვინ როგორ ფორმაშია. თუმცა, უპირატესობას მივანიჭებთ ისეთ მოთამაშეებს, რომლებიც კლუბებში 90 წუთს თამაშობენ, რათა მაღალი ინტენსივობის თამაშის დატვირთვას გაუძლონ. მეკარესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უშუალოდ თამაშის დღეს მივიღებ...



რა თქმა უნდა, ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის სასიამოვნოა, როდესაც ჩემი ფეხბურთელები ბევრსა და მაღალ დონეზე თამაშობენ. 18 თვის წინ, როცა აქ მოვედი, სხვა მდგომარეობა იყო. ეს ფეხბურთელები ქართული კლუბების აღზრდილები არიან და მათი, ისევე, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ მადლობელი უნდა ვიყოთ. შესაძლოა, იღბლიანი მწვრთნელი ვარ, თუმცა ამის უკან ბევრი შრომაა.

დიდი ხანია, საქართველოს ნაკრებში ასეთი გარემო და დადებითი განწყობა არ ყოფილა. ამის ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ მოთამაშეებს არ ეგონოთ, თამაშს ბოლომდე დახარჯვის გარეშე მოიგებენ. ჩვენი დავალებაა, მათ ავუხსნათ, რომ ყველა მატჩს თავისი ისტორია აქვს.

მაკედონიელებთან თამაშის წინ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **გურამ კაშიამაც** ისაუბრა.

– გულშემატკივრები ჩვენთვის წნეხი არასდროს ყოფილა, პირიქით, სავსე სტადიონი ძალიან სასიხარულო და ჩვენთვის დამატებითი მოტივაციის ფაქტორია...

აღარ გვსურს იმ დღის გახსენება, როცა ჩრდილოეთ მაკედონიასთან ფინალი წავაგეთ. ახლა სხვა განწყობაა, თითქმის ყველას აქვს სათამაშო პრაქტიკა და კარგ ფორმაში არიან.

ლუკა ლოჩოშვილს ძალიან დიდი პროგრესი აქვს და მასზე მხოლოდ დადებითის თქმა შემიძლია. ლუკა ტოპ-ლიგაში გამოდის. მისი მონაწილეობით 3 მატჩს ვუყურე და ძალიან კარგად ითამაშა. ეს ჩვენი ნაკრებისთვის ძალიან კარგია.

ჩაკვეტაძე ძალიან მშრომელი ფეხბურთელია, ბევრს ვარჯიშობს, უბრალოდ, ბევრი გაუცდა და ჩვეული ფორმის დაბრუნებას დრო სჭირდება. იმედი მაქვს, ის ისევ მაღალ დონეზე ითამაშებს. ყველაფერი ამისკენ მიდის.

ზურიკო დავითაშვილი: „ბორდო დიდი ისტორიის კლუბია“

ფრანგულ ბორდოში მოთამაშე ზურიკო დავითაშვილს იდეალური დებიუტი გამოუვიდა. ლიგა 2-ის მე-9 ტურის მატჩში დიჟონთან (2:1) ზურიკომ გამარჯვების გოლი გაიტანა და გუნდს 3 ქულა მოაპოვებინა.

ბათუმის დინამოდან იჯარით გადასულ დავითაშვილს საფრანგეთში კარგი პრესა აქვს. 21 წლის ფეხბურთელს დადებითად ახასიათებს თავად კლუბის ვებგვერდიც, სადაც ჩვენებურის ინტერვიუ აქვს გამოქვეყნებული.

ზურიკო დავითაშვილი:

– ბორდო ძალიან ცნობილი კლუბია. ვუყურებდი საფრანგეთის ჩემპიონატს და ამიტომაც გადავწყვიტე აქ მოსვლა. ვიცი, რომ ეს გუნდი საფრანგეთის 6-გზის ჩემპიონია. ასევე ვიცი, რომ ამ კლუბში თამაშობდა ზინედინ ზიდანი და ამ ყველაფერმა კონტრაქტის გაფორმებისკენ მიბიძგა.

ვთამაშობ მარცხენა გარემარბის პოზიციაზე. ცენტრში და მარჯვნივ თამაშიც შემიძლია, მაგრამ მარცხენა ფლანგზე მოქმედებას ვამჯობინებ. ყველაფერს გავაკეთებ და ბოლომდე დავიხარჯები, რათა კიდევ უფრო უკეთესი გავხდე, ჟირონდელებს გამარჯვებებისა და ქულების მოპოვებაში დავეხმარო. ჩემი მიზანია, კარგად ვითამაშო, გავახაროთ გულშემატკივრები და გუნდი ლიგა 1-ში დავაბრუნოთ.

აქ უმაღლესი დონის პირობებია და ძალიან მომწონს. ჯერჯერობით ფრანგულად ვერ ვლაპარაკობ და ყველაფერი არ მესმის, მაგრამ თანაგუნდელები ძალიან მეხმარებიან როგორც მოედანზე, ისე – გარეთ. ვიწყებ ფრანგული ენის შესწავლას. ნებისმიერ შემთხვევაში, აქ ბედნიერი ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რათა გულშემატკივრები ჩემით კმაყოფილი იყვნენ.

ბორდოს ლიგა 2-ში გასული 9 ტურის შემდეგ 17 ქულა აქვს, სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციაზეა და 2 ქულით ჩამორჩება ლიდერ სოშოს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ლაშა პარუნაშვილი: „დანიაში სწრაფი ფეხბურთი უყვართ“

ლაშა პარუნაშვილი კიდევ ერთი ფეხბურთელია, რომელიც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდა.

საბურთალოს აკადემიის აღზრდილმა არაერთი წელი დანიის ჩემპიონატში ითამაშა. ცოტა ხნის წინ ლაშა მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა. პარუნაშვილის ინტერვიუ საინტერესო უნდა იყოს ქომაგებისათვის.

– პირველ რიგში, თქვენი ჯანმრთელობის შესახებ რომ გვითხრათ?

– თავს კარგად ვგრძნობ, არაფერი არ მანუხებს. გავიარე სამედიცინო შემოწმება და ყველაფერი რიგზეა. უბრალოდ, გუნდთან ერთად ივნისის შემდეგ არ მივარჯიშია, მაგრამ ახლა საქართველოს პირველობაზე გამოცხადებული სანაკრებო პაუზა დამეხმარება ფორმის აღდგენაში.

– საბურთალოში დაბრუნების შემდეგ პირველი ვარჯიშები გამართეთ. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?

– ფეხბურთელების დიდ ნაწილს ვიცნობ, ადაპტაცია არ უნდა გამიჭირდეს. მეგობრული გუნდია, შთაბეჭდილებები დადებითი და სასიამოვნოა.

– როგორ მოხდა გუნდთან დაკავშირება?

– დანიიდან წამოსვლის შემდეგ მოლოდინის რეჟიმში ვიყავი. ჩემი ბავშვობის გუნდელმა, რომელთან ერთადაც საბურთალოს აკადემიაში ვთამაშობდი, შემომთავაზა ეს წინადადება. მე და კლუბის ხელმძღვანელებს შორის მოხდა შეხვედრა, რომელიც დადებითად დასრულდა. არ გამჭირვებია გადაწყვეტილების მიღება, რადგან კარგად ვიცნობ აქ მომუშავე ადამიანებსა და კლუბის ხელმძღვანელებს. მიყვარს აქაურობა. ამ ფაქტმა დიდი როლი ითამაშა ჩემს არჩევანზე.

– საბურთალოს თამაშებს თუ ადევნებთ თვალს და როგორია თქვენი შეხედულება?

– საბურთალო ახალგაზრდული გუნდია, სადაც ნიჭიერი ფეხბურთელები თამაშობენ. ამ გუნდს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, ანგარიშგასაწევი კლუბია. ეს ყველაფერი ევროტურნირებზეც გამოჩნდა, სადაც გუნდმა გაიარა ბრძოლა, შემტევი და საინტერესო ფეხბურთი ითამაშა.

– ბავშვობის გარკვეული დრო საბურთალოს აკადემიაში გაატარეთ. გაიხსენეთ ის დრო და თაობა.

– ძალიან კარგი და წარმატებული წლები გავატარე. ბავშვობაში გატარებული დრო სხვანაირად გახსენდება. აქ ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად და ბევრი რამ ვისწავლე. საბურთალოს მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. რაც შეეხება ჩვენს თაობას, კარგი კონტინგენტი ვიყავით თავმოყრილი – ვაკო ყაზაიშვილი, დათი ხოჭოლავა, არჩილ ტვილდიანი, გიორგი ჭანტურია...

– დანიაში ექვსი წელი დაჰყავით.

– დანიაც კარგად გასახსენებელია. სკანდინავიაში ყველაზე კარგი სეზონი მქონდა მაშინ, როდესაც ესბიერგი მე-3 ადგილზე გავიდა. ისეთი პატარა გუნდისთვის, როგორიც ესბიერგია, დიდი მიღწევა იყო. ამ სეზონში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადმომცეს და, როგორც ლეგიონერს, კლუბში ყველაზე მეტი თამაში დამიგროვდა – 153 მატჩი.

– რას აქცევენ დანიელები ყურადღებას და როგორი ფეხბურთის თამაში უყვართ სკანდინავიაში?

– არა აქვს მნიშვნელობა, როგორი სტილის გუნდები თამაშობენ. ყოველთვის მაღალი ტემპია. უყვართ სწრაფი ფეხბურთის თამაში და ბევრი კლუბი კონტრშეტევაზე აგებს თამაშს.

– საქართველოს ნაკრების კანდიდატი ხართ. თავისთავად, გექნებათ მომავალში ნაკრების თამაშის სურვილი. რას იტყვით ნაკრების ამჟამინდელ გუნდზე?

– ძალიან კარგი თაობა მოდის. ეს ბოლო მატჩებმაც გვაჩვენა. ლამაზ სანახაობასთან ერთად, შედეგიც არის, რაც ორმაგად სასიამოვნოა. ნაკრები კარგ ფორმაშია, თამაშიდან თამაშამდე უმატებს, პროგრესი აშკარად შეიმჩნევა. მჯერა, რომ ერთა ლიგიდან გავალთ და ჯგუფში მოვხვდებით.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ, ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ 166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ

ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲭᲔᲑᲘ Ⲃ



შვეულად: 1. ხიდის საყრდენი ბურჯი; 2. მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 3. ინგლისელი პოეტი, ლორდი; 4. მარნეულის ძველი სახელწოდება; 5. მდინარე ისრაელსა და პალესტინაში; 7. კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნის კახეთში; 11. მინერალური წყალი სამეგრელოში; 12. ინგლისელი მწერალი, რომან „დორიან გრეის პორტრეტის“ ავტორი; 14. ძვირფასი ლითონი; 15. პირველი ელექტროსადგური საქართველოში; 17. კომიკური როლების შემსრულებელი ოპერეტებსა და ვოდევილებში; 19. უძველესი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საქართველოში.

თარაზულად: 5. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 6. ფულის, ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა ბირჟაზე; 8. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 9. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 10. ველური ვარდი; 11. ფიჯის დედაქალაქი; 13. თავადის ტიტული ინდოეთში; 14. პოლონელი მწერალი, რომანების „თოჯინასა“ და „ფარაონის“ ავტორი; 16. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი; 20. უდიდესი ნეტარების მდგომარეობა ბუდისტური მისტიკური მოძღვრების მიხედვით; 21. კუთხე საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პლეადა; 2. რიკოთი; 3. იფქლი; 5. იკაო; 6. ნაგანი; 8. ორფოლო; 11. აბსოლუცია; 13. პატრული; 14. ლატავრა; 15. ყაზბეგი; 19. იორი.

თარაზულად: 1. პოლიქრომია; 4. ალბიონი; 7. ენოთეკა; 9. ლიბრეტო; 10. ქართუ; 12. ჭყონდიდი; 16. მოწამეთა; 17. ეტალონი; 18. სამტრედია; 20. იაგუარი; 21. ბივა; 22. კოსტიოლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტონიკი; 2. მერიმე; 3. შპიგელი; 4. მავრები; 5. ლუქსორი; 7. პიცერია; 11. შერპი; 12. მიქლიო; 13. ვექსილი; 14. პარსეკი; 15. ვალაბი; 17. პალაცო; 19. ნასა.

თარაზულად: 5. ლოგორეა; 6. ტემპერა; 8. მუცო; 9. პერიე; 10. ორვილე; 11. შოვი; 13. ვატიკანი; 14. პატიო; 16. ოპელი; 18. ფოსტა; 20. კურსები; 21. ბარცინო.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8372

ევრო — 2.8037

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2180

100 რუსული რუბლი — 4.7164

ამინდის პროგნოზი 23 სექტემბრისთვის

ლევანდოვსკი: „ბარსელონაში ძალიან ბედნიერი ვარ“



ბარსელონის პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ გუნდში თავის მდგომარეობაზე ისაუბრა და თქვა, რომ ბედნიერია და შეეცდება, ბარსელონაში კიდევ დიდხანს დარჩეს: „ბარსელონაში ადაპტაცია ძალიან სწრაფად გავიარე და, ზოგადად, ამ გუნდში ყველა კარგად მექცევა. ჩემი შედეგიანობაც სწორედ ამის დამსახურებაა. შევეცდები, ასე გავაგრძელო“.

ბენზემა: „რეალი თითქმის იდეალური გუნდია“

მადრიდის რეალის ფორვარდმა კარიმ ბენზემამ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალი თითქმის იდეალური გუნდია და მათ გაძლიერება ან ახალი ფეხბურთელების დამატება ნაკლებად სჭირდებათ: „რეალს უდიდესი პოტენციალი აქვს და, სეზონი ისე დავიწყეთ, რომ ყველამ დაინახა, თუ რა შეგვიძლია. მომავალში მხოლოდ გავძლიერდებით“.

ჯეიდენ სანჩო: „მანჩესტერ იუნაიტედს გაძლიერება სჭირდება“

მანჩესტერ იუნაიტედის ვინგერმა ჯეიდენ სანჩომ თავისი გუნდის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ტიტულების მოსაგებად მანჩესტერს აუცილებლად სჭირდება გაძლიერება, რადგან, სხვა შემთხვევაში, უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა რთული იქნება: „მინდა, გუნდში ახალი ფეხბურთელები ვნახო, რადგან მათ გარეშე ჩვენი მომავალი, შესაძლოა, ბუნდოვანი იყოს. თუ მანჩესტერმა ტიტულები ვერ მოიგო, ჩვენთვის სეზონი წარმატებულად არ ჩაითვლება“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

მოსამართლე სპეცრაზმის წევრს ეკითხება:

– თუ შეიძლება, გვითხარით, რას სდებთ ბრალად ამ გოგონას?

– ბატონო მოსამართლევ, ამ გოგონამ მრისხანე მზერა მესროლა და მიწაზე დავეცი...

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– იცი, რომ სიცილი ქალის საწოლში შეტყუების მეორე საუკეთესო საშუალებაა.

– და პირველი რომელია?

– დიდი დანა.

– ვაიმე, როგორ გამაცინე...

– გონივრული არჩევანია!

●●●

ორი ქალი მატარებლით მგზავრობს. ერთი მეორეს შესჩივის:

– ეს ცხოვრება კი არა, საშინელი მოწყენილობაა.

– შენც ადექი და საყვარელი გაიჩინე 500 დოლარად თვეში.

– მასეთს სად ვიპოვი?

– მაშინ ორი გაიჩინე, თითო 250 დოლარად.

– ეგეც პრობლემაა.

– მაშინ ოთხი თითო 125 დოლარად!

ამ დროს ზედა საწოლზე მწოლიარე მამაკაცმა გადმოსძახა:

– ხუთ დოლარზე რომ ჩამოხვალთ, გამაღვიძეთ!

●●●

პოლიციელი მხედველობას იმოწმებს. თვალის ექიმი ეკითხება:

– აბა, ეს რა ასოა?

პოლიციელი დუმს.

– ეს რა ასოა?

– პოლიციელი ხმას არ იღებს.

– რა, ვერ ხედავთ?

– ვხედავ, უბრალოდ, დამავიწყდა, რა ასოა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლაშა მძინარაშვილი ამერიკაში დააჯილდოვეს

ანსამბლ „რუსთავის“ მოცეკვავე, ქორეოგრაფი და დუბლიორი ლაშა მძინარაშვილი ჰოლივუდში დააჯილდოვეს.

მსოფლიო კასკადიორთა ინდუსტრიის ერთ-ერთ გამორჩეულ დაჯილდოების ცერემონიალზე ქართველმა ხელოვანმა ნომინაცია „საუკეთესო ბრძოლის სცენის კატეგორიაში“ გაიმარჯვა.

მან რეჟისორ მეთიუ ვონის ფილმში „ქინგს მენი“ მთავარი საბრძოლო სცენა დადგა და ქართული ცეკვის ელემენტები ჰოლივუდში წარადგინა. გამორჩეული ქორეოგრაფიით კი ჟიურის, მსოფლიო კინოინდუსტრიის პროფესიონალებისა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ლაშა მძინარაშვილი პირველი ქართველი ქორეოგრაფი და მოცეკვავეა, რომელმაც ეს ჯილდო მიიღო.

ოთარ ჭილაძის მარკა გამოცემულია

მწერლისა და პოეტის ოთარ ჭილაძის მარკა გამოცემულია. მისი ფასი 2 ლარი და 60 თეთრია.

ინფორმაცია მისი ოჯახის წევრებმა გაავრცელეს:

– გილოცავთ! დღეიდან შეგიძლიათ გაგზავნოთ წერილები ოთარ ჭილაძის საფოსტო მარკით.

ზინაიდა კვერენჩხილაძის 90 წლის იუბილე დმანისის თეატრმა აღნიშნა

დმანისის თეატრმა ზინაიდა კვერენჩხილაძის 90 წლის იუბილე აღნიშნა. ეს თეატრი სწორედ ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელს ატარებს.

მსახიობის იუბილესადმი მიძღვნილი საღამოს მასპინძელი დმანისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი გიორგი სიხარულიძე იყო, ხოლო დმანისის თეატრის მსახიობებმა, დმანისის მუნიციპალიტეტის ფოლკლორულმა ანსამბლებმა, გუნდმა „პატრიარქის ნათლულებმა“, ანსამბლმა „მართვემ“, ელდინო საღარაძემ და მაკა შალიკაშვილმა სტუმრებს განსაკუთრებული დაუვიწყარი საღამო აჩუქეს.

ზინაიდა კვერენჩხილაძის 90 წლის იუბილეს ფარგლებში კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული წიგნის – „მე, ანტიგონე“ განახლებული გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნში ზინაიდა კვერენჩხილაძემ აღწერა ანტიგონეს როლსა და ამავე სახელწოდების სპექტაკლზე მუშაობის რთული და საინტერესო პროცესი განუმეორებელი სერგო ზაქარიაძის მონაწილეობითა და მიხეილ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით.

საიუბილეო წლის ფარგლებში, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით გამოიცა წიგნი-ალბომი – „ზინაიდა კვერენჩხილაძე – 90“.

მსახიობის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ საღამოს კულტურის მინისტრი და მიწვეული სტუმრები დაესწრნენ. მათ შორის, ზინაიდა კვერენჩხილაძის შვილი, რეჟისორი გოგი მარგველაშვილი, რომელმაც დედა და მისი მოღვაწეობა გაიხსენა, მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც დმანისის თეატრის გაძლიერების საკითხი პრიორიტეტად აქცია.

სწორედ ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელს უკავშირდება 1990 წელს დმანისში თეატრ-სტუდია „ქვემო ქართლის“ დაარსება, რომელიც პატრიოტული თემატიკის რეპერტუარით ეროვნული ცნობიერების ამაღლებასა და ქართული ენის დაცვას ემსახურებოდა. მსახიობის სახელს ატარებს დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელმაც 2022 წლიდან, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, ახალი ცხოვრება დაიწყო – 408.462 ლარამდე გაიზარდა თეატრის წლიური ბიუჯეტი, რომელიც მანამდე 26.000 ლარის ფარგლებში მერყეობდა; ახალგაზრდა მსახიობებისგან ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი დასი; თეატრს გამოეყო დაფინანსება სადადგმო ხარჯისათვის; მიმდინარეობს მუშაობა შენობის რეკონსტრუქციისათვის. თეატრის ახალ სამხატვრო ხელმძღვანელ გიორგი სიხარულიძესთან თანამშრომლობით კი სამინისტრო თეატრის წინაშე მდგარი გამოწვევების აღმოფხვრაზე აქტიურად მუშაობს.

17 წლის წინ წყლის არხში დაკარგული ბეჭედი პატრონს დაუბრუნდა

კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიაში მდებარე წყლის არხში მოცურავემ იპოვა ნიშნობის ბეჭედი, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებმა 17 წლის წინ დაკარგა და პატრონს დაუბრუნა.

ადგილობრივმა პოლიციამ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ეძებდა პატრონს ბეჭდისას, რომელიც მოცურავემ არხში იპოვა. სამკაულზე ამოტვიფრული იყო სახელები სტეფანი და ნოელი. აღნიშნულმა განცხადებამ ნოელ ნისენის სიმამრის ყურადღება მიიპყრო.

– სიმამრმა დამირეკა და მითხრა, რომ ნახა სტატია ბეჭდის პოვნის თაობაზე და მკითხა, ის ჩემი ბეჭედი ხომ არ იყო, – განაცხადა სამკაულის პატრონმა.

ნისენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნიშნობის ბეჭედი 17 წლის წინ დაკარგა იმ დროს, როდესაც მეგობრებთან ერთად ისვენებდა. მან ბეჭდის დაკარგვა მხოლოდ მაშინ შენიშნა, როდესაც მანქანაში ჯდებოდა.

ისე დაემთხვა, რომ კანადელს დაკარგული ბეჭედი სტეფანისთან დაქორწინების 20 წლის თავზე დაუბრუნდა. სამკაული შესანიშნავად იყო შემონახული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

23 სექტემბრისთვის

ვერძი – ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობას ერიდეთ. ეძიეთ შემოსავლის განსხვავებული წყარო. **კურო** – ხელმძღვანელობასთან საკუთარ პრინციპებს ნუ დაიცავთ. ინტუიციას მიენდეთ. თავმდაბლად იმუშავეთ. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოწესრიგება დღესვე დაიწყეთ. ერიდეთ კამათს უფროსობასთან. **კირჩხიბი** – ზედმეტ დატვირთვასა და ახალი საქმის დაწყებას ვარსკვლავები გიკრძალავენ. კარგი იქნება, თუ საღამოს ახლო მეგობრებთან ერთად გაატარებთ და მოდუნდებით. **ლომი** – კრიტიკული დღეა. კონტაქტები შეამცირეთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ქალწული** – განმარტოება და სულიერი ძალების მოკრება გჭირდებათ. ბუნების წიაღში გასეირნება და მცირეოდენი ფიზიკური ვარჯიში დადებითად წაგადგებათ. **სასწორი** – პასიური დღეა. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ. მეგობრების რჩევები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** – საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. დაშვებული შეცდომები რაც შეიძლება მალე უნდა გამოასწოროთ. **მშვილდოსანი** – შორს გამგზავრებას ერიდეთ. ნერვებს გაუფრთხილდით. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრები, ასევე ყოველდღიური სამუშაო დაგაკანცავთ. დრო გამოყავით სულიერი და ფიზიკური ძალების აღსადგენად. **ვერცხელი** – დღის დადებითი ტენდენციები მძლავრობს. შესაფერისი პერიოდია ახალი ფინანსური გარიგებებისათვის. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისთანავე დაუყოვნებლივ მიმართეთ სპეციალისტს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

გიორგი გიგაშვილი უმნიშვნელოვანეს კონკურსში მონაწილეობს

პიანისტი გიორგი გიგაშვილი უმნიშვნელოვანეს კონკურსში მონაწილეობს. 7 მუსიკოსს შორის საზოგადოებამ საუკეთესო უნდა აირჩიოს და ამისთვის 2-კვირიანი ვადა აქვს.

გიორგი გიგაშვილი:

– ივლისში დავუკარი გშტაადში მენუხინის ფესტივალზე, სადაც სხვადასხვა დღეს ვუკრავდით დებიუტს ახალგაზრდა მუსიკოსები.

14 სექტემბრიდან დაიწყო ხმის მიცემა 28 სექტემბრამდე, თუ ვინ დაუკრავს მომავალ წელს უკვე მთავარ სცენაზე კონცერტს, რისი უდიდესი სურვილიც მაქვს. არის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ფესტივალი და, ძალიან რომ არ მინდოდეს, არც მოგახვევდით თავს. ამიტომაც თქვენი დახმარება მჭირდება – 28 სექტემბრამდე შეგიძლიათ, მომცეთ ხმა.

პ.ს. ბოლო ადგილიდან მეორე ადგილზე გადავინაცვლე. დიდი მადლობა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბრაზილიური არაყი; 2. წერილობითი განკარგულება, ნებართვა, რომელიც რაიმეს აღსრულების უფლებას იძლევა; 3. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი; 5. რკინის მადნიდან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი ლითონი; 6. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 8. საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 13. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი; 15. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 19. თეატრის მსახიობთა კოლექტივი.

თარაზულად: 1. გადასახდელსახურავიანი მსუბუქი ავტომობილი; 4. მოღალატე, ვერაგი, გაუტანელი ადამიანი; 7. რბილი ხაოს მქონე აბრეშუმის ქსოვილი; 9. ყველაზე დიდი მდინარე ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე; 10. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 12. ბერძული ფილოლოგიის მკვლევარი, მეცნიერი; 16. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 17. ჟურნალ „პლეიბოის“ დამფუძნებელი; 18. გასართობი თავსატეხი; 20. გულუბრყვილო, მიმნდობი ადამიანი; 21. ციტრუსოვანი ხილი; 22. ნეფედედოფლის თანმხლები პირები ქორწილში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა